ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნათია ქარჩილაძე

არაფორმალური ეკონომიკის გენდერული ასპექტები:
თბილისში მცხოვრები გარემოვაჭრე ქალების მაგალითზე

სამაგისტრო პროგრამა: სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

იაგო კაჭკაჭიშვილი, სრული პროფესორი;

მაია ბარქაია, დოქტორი.

თბილისი, 2018

სარჩევი

შესავალი 6

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 9

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია 16

კვლევის შეზღუდვები 20

თავი 3. კვლევის შედეგები. 20

§ 3.1. დაკვირვება. 20

§ 3.2 ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ 22

§ 3.3 რესპონდენტების გატაცებები და ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები 26

§ 3.3 საშინაო შრომა 29

§ 3.3 დასაქმება არაფორმალურ სექტორში 31

საქმიანობა გარევაჭრობის დაწყებამდე 31

გარევაჭრობა და ნათესავები 34

გარევაჭრობა, როგორც სირცხვილი 35

გარევაჭრობა და უცნობი ადამიანები 36

გასაყიდი საქონელი 37

სავაჭრო პირობები 38

§ 3.3 რეკომენდაციები 41

დასკვნა 46

გამოყენებული ლიტერატურა 50

დანართი #1 54

დანართი #2 55

აბსტრაქტი

საქართველოში ვაჭრობა და არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დაბალი სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე მოსახლეობისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვითდასაქმებულებს, ძირითადად, წარმოადგენენ სოციალურად ყველაზე მოწყვლადი ფენები თუ ჯგუფები, მათ შორის ჭარბობენ ქალები. ამ კონტექსტში, ქალები არიან სწორედ ის ძირითადი, მოწყვლადი პირები, ვისი გამოცდილებაც და როლიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოცემული საკითხის შესწავლაში. შესაბამისად, ჩატარდა კვლევა "არაფორმალური ეკონომიკის გენდერული ასპექტების შესასწავლად: თბილისში მცხოვრები გარემოვაჭრე ქალების მაგალითზე". კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი, ზეპირი ისტორიები. შერჩევითი ერთობა 16 რესპონდენტით განისაზღვრა. მათი ასაკი დაყოფილი იყო სამ კატეგორიად (30-45, 45-60, 60-დან ზემოთ), შესაბამისად თითო კატეგორიიდან მინიმუმ 2 რესპონდენტი მაინც გამოიკითხა სხვადასხვა ლოკაციაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისში მცხოვრები ქალი გარემოვაჭრეების მდგომარეობის შესწავლა სამუშაო ადგილებზე. მიზნის შესაბამისად, ჩამოყალიბდა შემდეგი ძირითადი ამოცანები: 1) გარემოვაჭრე ქალების მოტივაციისა და მიზნების შესწავლა (თუ რატომ დაიწყეს გარევაჭრობა, მათი ცხოვრების ისტორია, გამოცდილებები და ა.შ); 2) გარემოვაჭრე ქალების პრობლემებისა და საჭირობების შესწავლა (დროის განაწილება, შინ შრომა და სამუშაო, სამუშაოზე არსებული პრობლემები და ა.შ); 3) მათ ყოველდღიურ სამუშაო რუტინაზე დაკვირვება (ჩაურთველი, გამჟღვანებული დაკვირვება). კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტებისთვის, ფაქტობრივად, არ არსებობს პირადი ბედნიერება, მათი ცხოვრება მუდმივი გადარჩენის პროცესია, სადაც თავიანთი თავი არ ახსოვთ, შესაბამისად, მათთვის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი საყვარელი ადამიანის, ოჯახის ბედნიერებასთან, მათთვის სარჩოს მიტანასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება საშინაო შრომას, გარემოვაჭრეების მთავარი მამოძრავებელი არის გადარჩენა და ოჯახში საჭმლის მიტანა, აქედან გამომდინარე, მათი შინ შესრულებული სამუშაო კიდევ უფრო

ნაკლებად ხილული და უფრო მეტად გენდერულად სეგრეგირებულია. რესპონდენტების უმრავლესობისთვის გარე ვაჭრობა არ ყოფილა არჩევანი, მათ არ ჰქონიათ ალტერნატივები და სოციალურმა რეალობამ განაპირობა მეტწილად მათი ქუჩებში გასვლა. რესპოდენტების უმრავლესობის გასაყიდი საქონელი 40-50 ლარს არ სცილდება და ხშირად, ბევრად უფრო ცოტაა. შესაბამისად, მოგება, რაც გარემოვაჭრეებს ვაჭრობით რჩებათ, დაახლოებით 10 ლარია. ამის ფონზე კი, სახელმწიფო და პოლიტიკური ელიტები არ ცდილობენ არსებული პრობლების მოგვარებას, პირიქით, ისინი მუდმივად განაგრძობენ გარემოვაჭრეების გაძევებას საჯარო სივრცეებიდან. პოლიცია ყოველთვის მზად არის გარემოვაჭრეებს შეურაცხყოფა მიაყენოს, დაუზიანოს დახლები და უბრალოდ, გადარეცხოს ისინი.

Abstract

Trading and informal economic activities are an important source of income for population with low social and economic potential in Georgia. It is noteworthy that self-employed people are mainly socially vulnerable layers or groups and most of them are women. In this context, women are the main, vulnerable individuals whose experience and role are particularly important in studying this issue. Consequently, research was conducted to study "Gender Aspects of Informal Economy: Example of women street traders living in Tbilisi". As a research method was chosen Qualitative Research method, in particular, Oral Histories. The sample point included 16 respondents. Their age was divided in three categories (30-45, 45-60 60 and above), accordingly, at least 2 respondents were interviewed in each category in different locations. Research aimed to study the condition of women traders living in Tbilisi at work places. According to this target, three main tasks of the study were formed: 1) Study motivation and goals of women street traders (why they started trading, their life history, experience, etc.); 2) Study problems and needs of women traders (time distribution, domestic labor and work, problems at workplace and so on); 3) Observing on their daily work routine (non-participant, overt Observation). Research showed that there is no personal happiness for the respondents, their life is a permanent process of survival where they do not remember themselves, so all their important moments are connected with their lovely ones, family happiness and providing them with their primary needs. As for domestic labor, for women traders' main motivator is survival and delivering food in their families, so their domestic work is even less visible and more gender-segregated. For most of the respondents outdoor trading was not a choice, they didn't have any alternatives and the social reality was largely decided instead of them. The goods for selling of majority of respondents do not go beyond 40-50 GEL and often much less. Accordingly, profit, which is traded by women outdoor traders, is about 10 GEL. Against this background, the state and political elites do not try to solve the existing problems, on the contrary, they are continuously expelling street vendors from public spaces. The police are always ready to offend the outdoor traders, to damage the stalls and simply "swap" them.

შესავალი

საბჭოთა კავშირის შემდგომ პერიოდში, საქართველოში ეკონომიკური ტრანზიციის პირობებში, დღემდე, ვაჭრობა და არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დაბალი სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე მოსახლეობისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობა თუ ხელისუფლება ვერ ახერხებდა/ახერხებს ბაზისური ინფრასტრუქტურული, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფას, დასაქმების ადგილების შენარჩუნებასა და ახალი ადგილების გაჩენას, შედეგად, 1990-1999 წლების პერიოდში ფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების პროცენტული რაოდენობა 91%-იდან 57%-მდე შემცირდა, ამ მძიმე სოციო-ეკონომიკური პირობებიდან თავის დასაღწევად ადამიანები პირადი ძალისხმევით, სხვადასხვა არაფორმალური პრაქტიკებისა გამოყენებით, ცდილობდნენ თავის გატანას და საარსებო მინიმუმის გამომუშავებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვითდასაქმებულებს, ძირითადად, წარმოადგენდნენ სოციალურად ყველაზე მოწყვლადი ფენები თუ ჯგუფები, მათ შორის ჭარბობდნენ ქალები, საპენსიო ასაკის ადამიანები, და აგრეთვე, იძულებით გადაადგილებული პირები თუ შიდა მიგრანტები, რომლებიც დღემდე ყველაზე მეტად არიან ასოცირებულნი არაფორმალურ სექტორში ჩაბმულ, წვრილ და გარემოვაჭრეებთან (Manning, 2009, pg. 29). (ქებურია 2017)

რაც შეეხება ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდს, ნიშანდობლივია, რომ მაშინდელი სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლები განსაკუთრებით არ წყალობდნენ გარემოვაჭრეებს - 2007 წელს უნებართვო გარევაჭრობა კანონგარეშედ გამოცხადდა, ხოლო მათ, ვინც კვლავ აგრძელებდა ასეთ საქმიანობას, მაღალ ჯარიმებს

აკისრებდნენ. სწორედ ამ პერიოდში იწყება არაფორმალური სავაჭრო სივრცეების პრივატიზება, საჯარო სივრცეების დაცლა კიოსკებისაგან და ხელნაკეთი სავაჭრო დახლებისგან და მათ ადგილას სუპერმარკეტებისა თუ თანამედროვე სავაჭრო ცენტრების აშენება; ხოლო 2012 წლის მთავრობის ცვლილების შემდეგ, გარემოვაჭრეები ნელ-ნელა კვლავ იწყებენ დაბრუნებას ქუჩებში, ტროტუარებზე. მთვარობის ცვლილების შედეგ მათთვის საჯარო სივრცეები კვლავ ხელმისაწვდომი ხდება (Polese, Morris, Rekhviashvili, 2016, pg.20), (Rekhviashvili, 2015, pg. 490). (ქებურია 2017)

რაც შეეხება 2016 წლის არჩევნებს, მას შემდეგ, რაც ცენტრალური ხელისუფლება პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით იმარჯვებს და მისი მმართველობის მეორე ვადა სულ რამდენიმე თვის დაწყებულია, 2017 წლის პირველ ნახევარში გარემოვაჭრეები კვლავ აწყდებიან სახელისუფლებო სტრუქტურები კვლავ ანახლებენ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულების დევნას და რეპრესიებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ვარდების რევოლუციის პერიოდის, და დღეს უკვე ქართული ოცნების ხელისუფლების პირობებში გატარებული ღონისძიებები გარემოვაჭრეების წინააღმდეგ, გარკვეულწილად, ერთმანეთს იმეორებს - ორივე შემთხვევაში ხდება/ხდებოდა გარემოვაჭრეების იძულებითი გაყვანა საჯარო სივრციდან, ხოლო ალტერნატივის სახით ფორმალურ-ადმინისტრირებულ სივრცეებში კომერციული სავაჭრო დახლების შეთავაზება, რისი ქირაობის საშუალებაც, რეალურად, გარემოვაჭრეებს არ აქვთ.

ამ კონტექსტში, როგორც უკვე აღინიშნა, ქალები არიან სწორედ ის ძირითადი, მოწყვლადი პირები, ვისი გამოცდილებაც და როლიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც საქართველომ გამოიარა ეკონომიკური ტრანზიციის პერიოდი და 90-იანი წლები, როცა აქ სამოქალაქო ომი იყო, შესაბამისად ერთი მხრივ - ქვეყნის ეკონომიკა და მეორე მხრივ - ოჯახი, ქალის კისერზე გადადიოდა.

საქართველოში, მძიმე სოციალური მდგომარეობის ფონზე ქალებს მუდმივად უწევდათ/უწევთ ოჯახების შენახვა. შედეგად, სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, ამ დროის განმავლობაში მივიღეთ ის, რომ ქალები მასობრივად გავიდნენ ქუჩებში სავაჭროდ სხვადასხვა წვრილმანისა თუ პროდუქტის გასაყიდად. თუმცა, გარდა

ანაზღაურებადი, არაფორმალური, სამუშაოსა, რომელიც დაბალანაზღაურებადი, მძიმე და ჯანმრთელობისთვის საშიშია, ქალებს სახლის საქმეების შეთავსებაც მოუწიათ, ეს საქმეც არ ჩამოშორდა მათ, ეს კი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ისეთი ბაზისური ტექნიკის არარსებობის შემთხვევაში, როგორიცაა, სარეცხი მანქანა, თბილი წყალი და ა.შ. თუმცა, რეპროდუქციული შრომა იმდენად შეუმჩნეველი და უხილავი იყო/არის, რომ მას ყველა თავისთავადად თვლის/თვლიდა და მიიჩნევს/მიიჩნევდა, რომ ქალის თავისთავადი მოვალეობაა დალაგება, რეცხვა, ოჯახზე ზრუნვა. გარდა ამისა, უხილავთან ერთად, იგი აუნაზღაურებელი და ყველაზე დაუფასებელია. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ქალი გარემოვაჭრეების კონტექსტი ვიკვლიოთ, რომლებიც, გარდა კერძო სფეროში მოღვაწეობისა, საჯარო სფეროშიც წინააღდეგობებსა და ჩაგვრას განიცდიან. დღეს კი ეს სფერო კანონგარეშეა, შრომით ბაზარზე ისედაც მცირე რეგულაციებისა და გარანტიების ფონზე.

მაშინ, როცა მმართველმა ელიტებმა გადაწყვიტეს, რომ ქალაქი გარემოვაჭრეებისაგან "გაეწმინდათ" (ქეთელაური 2017), მეტროებთან, ტროტუარებზე ვხედავთ მძიმე ტომრებით, წიგნებით ან ყუთებით ფეხზე მდგარ ქალებს რომლებიც ზედამხედველ ბიუროკრატებს ემალებიან. შესაბამისად, ამ კონტექსტში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა გარემოვაჭრე ქალების პრობლემების, გამოწვევების შესწავლა; იმ ბრძოლებზე საუბარი, რისი გავლაც მათ ყოველდღიურად საჯარო სივრცეში უწევთ. მოცემული თემის შესასწავლად კი მნიშვნელოვანია გარემოვაჭრე ქალების ცხოვრების ისტორიების, მათი თითოეულ შემთხვევაზე დაკვირვება, შესწავლა და გამოკვლევა.

მნიშვნელოვანია, რომ თავად უშუალოდ იყო ჩართული პროცესში და აკვირდებოდე, უშუალოდ იყო მონაწილე იმ პროცესებისა, რისი გავლაც მათ უწევთ, როცა პოლიციის მანქანას დაინახავენ და იმალებიან, ან როცა მძიმე ხის ყუთები უჭირავთ ხელში.

შესაბამისად, მოცემულ ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალი გარემოვაჭრეების პრობლემების შესწავლასა და მათ სამუშაო პროცესზე დაკვირვებას.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ჩემი მიზნიდან გამომდინარე, კვლევის თეორიული ჩარჩოც სწორედ არაფორმალური ეკონომისა და საშინაო შრომის ურთიერთქმედებაზე დაყრდობით აიგება.

თავდაპირველად უშუალოდ არაფორმალური ეკონომიკის ოპერაციონალიზაციით დავიწყებ: ტერმინი "არაფორმალური ეკონომიკა" მიემართება მშრომელებისა და ეკონომიკური გაერთიანებების მიერ განხორციელებულ ყველა ეკონომიკურ აქტივობას, რომლებიც, არ ექცევა ან ფორმალური შეთანხმებების საფუძველზე სანახევროდ ექცევა კანონის ფარგლებში. არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართულების საქმიანობას არ მოიცავს კანონი, რაც ნიშნავს, რომ ის ოპერირებს კანონის ფორმალური გავრცელების მიღმა, ან სათანადოდ არ ხორციელდება პრაქტიკის დონეზე. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები მოქმედებენ კანონის ფორმალური გავრცელების საზღვრებში, კანონი არ არის პრაქტიკული ან აღსრულებაში მოყვანილი. ეს ტერმინი ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ კანონი შეუსაბამო და მძიმეა ან არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართულთათვის ადგენს დიდ გადასახადებს (Bhatt and Jhabvala 2004, 1).

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს „არაფორმალური ეკონომიკის" უნივერსალურად ზუსტი და შეთანხმებული აღწერა ან დეფინიცია, არსებობს ფართო გაგება იმისა, რომ ეს ტერმინი იტევს მშრომელთა, საქმიანობათა და მეწარმეთა მნიშვნელოვან ნაირსახეობას იდენტიფიცირებული მახასიათებლებით. ასეთი მშრომელები განიცდიან სპეციფიკურად არახელსაყრელ პირობებსა და პრობლემებს, რაც განსხვავებულია სხვადასხვა ეროვნული, რურალური და ურბანული კონტექსტის მიხედვით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში, „ტრანზიცია არაფორმალური ეკონომიკიდან ფორმალურ ეკონომიკაში“, საუბარია იმაზე, რომ არაფორმალური ეკონომიკა ყვავის მაღალი უმუშევრობის, არასრული სამუშაოს, სიღარიბის, გენდერული უთანასწორობისა და პრეკარიატული სამუშაოს პირობებში.

ანგარიშის თანახმად, არაფორმალური ეკონომიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსგავს სიტუაციებში, განსაკუთრებით მასში შესვლის სიმარტივითა და განათლების, უნარების, ტექნიკისა და კაპიტალის დაბალი მოთხოვნების გამო. თუმცა, ბევრი ადამიანის შედის არაფორმალურ ეკონომიკაში არა თავის ნებით, არამედ გადარჩენისთვის და იმისათვის, რომ წვდომა ჰქონდეს სხვადასხვა საბაზისო საჭიროებებზე. არაფორმალური ეკონომიკა ხასიათდება ღირსეული შრომის დეფიციტითა და მომუშავე ღარიბების არაპროპორციული წილით. (International Labour Office 2014, 3)

ანგარიშში ასევე საუბარია იმაზეც, რომ არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულების სიღარიბის უფრო მაღალი რისკის წინაშე დგანან, ვიდრე ფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულები. შესაბამისად, ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, არსებობს მნიშვნელოვანი, მაგრამ არა სტაბილურად მყარი კავშირი არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებასა და სიღარიბეს, მოწყვლადობას შორის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობით, ბევრი ადამიანი ერთვება არაფორმალურ ეკონომიკაში, სადაც აწყდება არაადეკვატურ და დაუცველ სამუშაო პირობებს, აქვს განათლებისა და კვალიფიკიაციის დაბალი დონე და სასწავლებლად დაბალი შესაძლებლობები; აქვს უფრო ნაკლებად განსაზღვრული, ნაკლებად რეგულარული და უფრო დაბალი შემოსავალი, ვიდრე ფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულებს. ეს ადამიანები იტანჯებიან უფრო მეტი სამუშაო საათით, კოლექტიური მოლაპარაკებების და უფლებების რეპრეზეტირების შესაძლებლობის არარსებობითა და გაურკვეველი, შენიღბული დასაქმებულის სტატუსით. არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულები ასევე ფიზიკურად და ფინანსურადაც უფრო მოწყვლადები არიან, რადგან ისინი სოციალური უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სქემის გარეთ არიან. ასევე ვერ სარგებლობენ დეკრეტითა და სხვა შრომითი კანონებით (International Labour Office 2014, 3).

ელა ბჰატი და რენანა ჯაბვალა თავიანთ პუბლიკაციაში “შრომის იდეა“ საუბრობენ იმაზე, რომ ფართო ეკონომიკური გაგებით, ქალი, რომელიც 8 საათზე მეტს მუშაობს, კერავს ან ქარგავს ტანსაცმელს ან აკეთებს ნებისმიერ სახლის საქმეს, ხშირად არ

ითვლება მშრომელად და მიიჩნება დიასახლისად, რომელიც აკეთებს "რაღაცას" "თავისუფალ დროს". გარემოვაჭრე, რომელიც ყიდის ბოსტნეულს ან სხვადასხვა წვრილმანს, ასევე არ არის მშრომელი, ის არის "დაბრკოლება", რომელიც პოლიციამ უნდა გააქროს რაც შეიძლება სწრაფად. ქალი, რომელიც მთელ დღეს საქონლის, ფერმის მოვლაში ატარებს, ან სახლისთვის შეშას აგროვებს და ზრუნავს ოჯახზე, ასევე არის რურალური დიასახლისი. ამის შემდეგ ავტორები სვამენ კითხვას: მშრომელი მხოლოდ ქარხანაში ან ოფისში მომაშავე კაცია? რა არის სამუშაოს იდეა, რომელიც აკნინებს სამუშაოს ძირითად ფორმებს და აღიარებს მხოლოდ გარკვეულ ფორმებს? (Bhatt and Jhabvala 2004, 1).

ეს საკმაოდ საინტერესო კითხვებია პროფესიული კავშირებისთვის, მაგალითად, როგორიცაა, თვითდასაქმებულ ქალთა ასოციაციისთვის (SEWA) (რაზეც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ), რომლის წევრებიც მარტივად ვერ ჯდებიან ამ კატეგორიებში. ისინი არიან ქალები, რომლებიც ეკონომიკურად დაუცვლები არიან და რომელთათვისაც გადარჩენა არის ბრძოლა. ისინი ეძებენ სამუშაოს "სწორ" ფორმას მათთვის, მათი კაცებისთვის და ბავშვებისთვის - სამუშაოს, რომელსაც შეუძლია ისინი სიღარიბისაგან და მოწყვლადობისაგან დაიხსნას. თუმცა, ის კანონები და პოლიტიკა, რასაც ეს ქალები აწყდებიან, უფუძნება სამუშაოს თეორიებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც ხშირად დაშორებულნი არიან რეალობას. სამუშაო გაიგება, როგორც შრომა ან სამსახური, სადაც არსებობს "სამსახურეობრივი ურთიერთობები" და სადაც მხოლოდ გარკვეული ტიპის სამუშაო არის პროდუქტიული და ღირებული, სხვები კი (ამ შემთხვევაში, გარევაჭრობა) - უსარგებლოა (Bhatt and Jhabvala 2004, 1).

ავტორების თქმით, მეინსტრიმული ეკონომიკა იყენებს ტერმინებს "შრომასა" და "დასაქმებას" სამსახურის გამოყენების დროს. დღეს არსებობს ეკონომიკის ალტერნატიული თეორიები, განსაკუთრებით, მარქსისტული მიდგომა, თუმცა ნეო-კლასიკური თეორიები დომინანტური აზროვნების წესია უმრავლესი ქვეყნების ეკონომიკაში. ამ გაგების თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში, ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია არსებობა, თუ ის ბაზრის საშუალებითაა დაკავშირებული ეკონომიკასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა დაკავშირებულია არჩევანთან,

რეალურად ეს არ არის არჩევანი: თუ ადამიანს უნდა, რომ იცხოვროს, მან უნდა იშრომოს - ეს არის ის, რისი გაკეთებაც მას უწევს, რათა დაიკმაყოფილოს მრავალმხრივი საჭიროებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არაფორმალურ ეკონომიკასა და შინ შრომაზე საუბრისასა, აუცილებლად უნდა შევეხოთ ელა რამეშ ბჰატს (Ela Ramesh Bhatt). ის არის ინდოელი აქტივისტი, რომელმაც დააარსა თვითდასაქმებულ ქალთა ასოციაცია (SEWA) ინდოეთში 1972 წელს. ადგილი, სადაც ის დაიბადა, აჰმედაბადი, მალე გახდა ტექსტილის ინდუსტრიის ცენტრი მეოცე საუკუნეში. ბჰატი მიიღეს ტექსტილის შრომის ასოციაციის იურიდიულ დეპარტამენტში. მან მალევე გააცნობიერა, რომ ქალების მიერ ტექსტილის სამუშაოს შესრულება, არამარტო აუნაზღაურებელი, საშინაო შრომა იყო, არამედ ეს ქალები ასრულებდნენ ეკონომიკისთვის საჭირო აქტივობებს. საქმიანობები, როგორიცაა, ქუჩაში გარევაჭრობა, ქარგვა, ნარჩენების გადამუშავება და სხვა შრომითი სერვისები, არ იყო მხოლოდ სახლისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი, არამედ იყო უდიდელი კონტრიბუცია ინდოეთის მშპ-ში. ბჰატმა აღმოაჩინა, რომ ქალებს არ სჭირდებოდათ კონსულტაცია იმაზე, თუ როგორ გაძღოლოდნენ საშინაო საქმეებს, არამედ სჭირდებოდათ დახმარება თავიანთი ინტერესების დაცვისთვის, როგორც ანაზღაურებად მშრომელებს, რადგანაც მათ არცერთი შრომითი კანონი არ იცავდა. სწორედ ამიტომაც, მან დაარსა თვითდასაქმებულ ქალთა ასოციაცია (Webster 2011, 3).

თავდაპირველად, ასოციაციის სურვილს, რომ ყოფილიყვნენ პროფკავშირები, უარი გამოუცხადეს, მათ წევრებს არ უყურებდნენ, როგორც მშრომელებს, რადგანაც თვითდასაქმებულები იყვნენ. პროფესიული კავშირების სარეგისტრაციო ბიურო მათ არ თვლიდა "მშრომელებად", შესაბამისად, მათ არ შეეძლოთ დარეგისტრირებულიყვნენ, როგორც პროფესიული კავშირები. შრომისმოყვარე ტექსტილის მუშებს, მქარგველებს, სიმძიმეების მზიდავებს, ტყის ნაწარმის შემგროვებლებს, არაფორმალურ მშრომელებს, შეუძლიათ კონტრიბუცია შეიტანონ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში, მაგრამ არ შეიძლება იწოდებოდენენ, როგორც მშრომელები (Webster 2011, 4).

ისევე როგორც დღეს, მაშინაც დამქირავებლის გარეშე შენ არ შეიძლება კლასიფიცირდებოდე, როგორც მშრომელი, შესაბამისად, არ შეგიძლია დაარსო

პროფესიული კავშირი. მათი ბრძოლა კი, ეროვნული პროფესიული კავშირის წოდებისთვის, გაგრძელდა 2007 წლამდე, როცა ისინი აღიარეს.

თავდაპირველად, ბჰატმა წინ წამოწია მისი ვიწრო ხედვა სამუშაოს შესახებ და ამტკიცებდა, რომ თვითდასაქმებულები მეინსტრიმული მშრომელები იყვნენ. ის ამტკიცებდა, რომ თვითდასაქმებული ჩართული იყო ვაჭრობაში. ისინი, ერთი მხრივ, ასრულებდნენ მექანიკურ სამუშაოს, როგორც სოფლის მეურნეობის მშრომელები, მშენებლები, მტვირთავები და ა.შ, მეორე მხრივ კი, ოჯახებს ამარაგებდნენ საშინაო სერვისებით, როგორიცაა, საჭმლის მომზადება და დალაგება. ისინი იყვნენ სახლის მუშები, რომელთაც ჰქონდათ კალათების გაკეთების, ტანსაცმლის შეკერვის, დალაგებისა და ა.შ უნარები და ამასთანავე, იყვნენ გარემოვაჭრე ქალები (Webster 2011, 4).

ბჰატი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ თვითდასაქმებულს ახასიათებს გარკვეული მახასიათებლები: ისინი არიან ეკონომიკურად აქტიურები; ისინი იშვიათად ფლობენ რაიმე კაპიტალს ან საკუთარ ინსტრუმენტებს წარმოებისა და ვაჭრობისთვის; მათ არ აქვთ წვდომა კრედიტებზე; ისინი არიან არაღიარებული, დაბალტექნოლოგიური ინდუსტრიის მხარეები; თუმცა, მისი თქმით, ამის მიუხედავად, ისინი არსებობენ დიდი რაოდენობით, არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ადამიანები არიან გაბნეულები, იზოლირებულები და არ იციან ეკონომიკაში თავიანთი მდგომარეობა (Webster 2011, 4).

ბჰატი ამბობს, რომ თვითდასაქმებულ ქალთა ასოციაცია არ არის პროფესიული კავშირი, რომლის მიზანია, დამსაქმებელთან კოლექტიური მოლაპარაკებების შედეგად, წევრებს, როგორც შრომითი ძალის გამოყიდველებს, გაუუმჯობესოს ხელფასები და სამუშაო პირობები. საპირისპიროდ, მისი მიზანია, რომ გააძლიეროს ქალები არაფორმალურ ეკონომიკაში და გახადის ისინი თავიანთი შრომის მფლობელები. როგორც სხვა პროფკავშირების შემთხვევაში, ეს კავშირიც ამას აკეთებს ქალების მობილიზებითა და ორგანიზებით, რათა ისინი გაერთიანდნენ თავიანთი შრომითი საკითხების გარშემო. ეს პროფკავშირი არის კოლექტიური სოლიდარობის სახე, რადგანაც ღარიბი მშრომელები ინდივიდუალურად ძალიან სუსტები არიან. ამის შემდეგ კი ისინი თავიანთ თავს დაინახავენ მშრომელებად (Webster 2011, 6).

არაფორმალური ეკონომიკისა და ქალთა შორმის საკითხებში ასევე მნიშვნელოვანია ნაილა კაბირი, განვითარებისა და გენდერის მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობს ორიენტალიზმისა და აფრიკის კვლევების სკოლაში, ლონდონის უნივერსიტეტში.

კაბირი სვამს კითხვას, თუ რა აძლევს არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულ ქალებს ორგანიზების იმპულსსა და სიმამაცეს? რა არის განსაკუთრებული იმ სტრატეგიაში, რასაც ისინი იყენებენ, რათა გადალახონ მათი სტრუქტურულად არამომგებიანი პოზიცია ეკონომიკაში? ისინი ითხოვენ რესურსების თანაბარ გადანაწილებას; იმ სამუშაოს ღირებულების აღიარებას, რასაც ისინი ასრულებენ; მათი, როგორც მშრომელების პატივისცემასა და მათ ხმას ყველა იმ გადაწყვეტილებაში, რაც მათზე, როგორც მშრომელებსა და მოქალაქეებზე გავლენას ახდენს (Kabeer et al. 2013, 3).

კაბირის აზრით, არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებული ქალების კოლექტიური ქმედებების ორგანიზაციის უწყვეტობისა და ეფექტურობისთვის აუცილებელია იმის გაზომვა, თუ რამდენად იზიარებენ კოლექტივის წევრები იდენტობისა და ინტერესების ერთობას. ქალი მშრომელებისთვის ხშირად ძალიან უცხოა, რომ თავი მშრომელებად წარმოიდგინონ. გეოგრაფიული გაფანტულობა, სოციალური იზოლაცია და არარეგულარული პირობები, რომლის ფარგლებშიც ბევრი არაფორმალური მშრომელი ოპერირებს, ნიშნავს, რომ საერთო იდენტობა არ იკვრება: ის ხშირად ხელოვნურად უნდა აშენდეს (Kabeer et al. 2013, 5).

ქალები თავიანთ სამუშაოს უფრო თავისუფალ კონტექსტში ხედავენ, როგორც თავიანთი ოჯახის გამოკვებისა და გადარჩენის საშუალებას. ისინი ხშირად მკვეთრად არ მიჯნავენ მათ საბაზრო და საშინაო ქმედებებს, ან არ ასხვავებენ ერთმანეთისაგან მათი, როგორც მშრომელების, დედების, ცოლებისა და საზოგადოების წევრების როლებს. უფრო მეტიც, ისინი ხშირად თანმხდებიან მათი სამუშაოს ფართო სოციალურ აღქმებზე, რომლის თანახმადაც, ის არასაკმარისი ღირებულების მქონეა. ერთ-ერთი მნიშნელოვანი შემაფერხებელი მიზეზი, თუ რატომაც ვერ ხერხდება ქალების გაერთიანება სამუშაოზე დაფუძნებული იდენტობების მიხედვით არის ის, რომ ისინი აღიზარდნენ ისე, რომ ეფიქრათ თავიანთ საშინაო ვალდებულებებზე და მათი

ანაზრაურებადი შრომა შეიძლება დავინახოთ, როგორც ამ ვალდებულებათა შესრულების გზა (Kabeer et al. 2013, 5).

ბევრი ორგანიზაციისთვის, არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებული ქალების სამუშაო სტატუსის ამაღლება, ან სტიგმის შემცირება, არის გაზიარებული და დაფასებული იდენტობის მშენებლობის პროცესის ნაწილი. გარემოვაჭრეებისთვის, სექს-მუშაკებისთვის ან შინ მშრომელელებისთვის ეს საკითხი განსაკუთრებით აშკარაა. ბრძოლა იმ უფლებისთვის, რომ ითვლებოდე ადამიანად და სარგებლობდე ადამიანის უფლებებით უფრო მეტად აქტუალურია, ვიდრე იწოდებოდე მშრომელად და სარგებლობდე მშრომელების უფლებებით. მაშინ, როცა არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებულები (გარემოვაჭრეები, სექს-მუშაკები და ა.შ) განიცდიან გავრცელებულ სტიგმას მათი სამუშაოს გარშემო, შინ მშრომელებისთვის მათი სოციალური "გაძევება" მოდის ორი წყაროდან. ერთი ეს არის საშინაო შრომაზე მიბმული ზოგადი უჩინარობა და დაბალი ღირებულება, არ აქვს მნიშვნელობა ანაზღაურებადია, თუ არა. ქალები ამ სამუშაოს მათი ქალური იდენტობისა და ბედის ბუნებრივ ნაწილად მიიჩნევენ. გადაწყვეტილება, რომ გააკეთო საშინაო საქმეები სხვა ქალის სახლში, აღიქმება, როგორც დროებითი ფაზა და არა იდენტობის მთავარი ნაწილი (Kabeer et al. 2013, 5).

საშინაო შრომაზე საუბრისას, სილვია ფედერიჩი ამბობს, რომ მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვსაუბრობთ არა ჩვეულებრივ შრომაზე, არამედ ფართოდ გავრცელებულ მანიპულაციაზე, ყველაზე უჩინარ და მისტიფიცირებულ ძალადობაზე, რომელიც კაპიტალიზმს ოდესმე განუხორციელებია მუშათა კლასის ნებისმიერი ნაწილის წინააღმდეგ. ცხადია, რომ კაპიტალიზმის პირობებში, ყოველი მუშა მანიპულირებული და ექსპლუატირებულია, მისი ურთიერთობა კაპიტალთან კი სრულებით მისტიფიცირებულია. ხელფასი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ შეთანხმება სამართლიანია: შენ მუშაობ და გიხდიან, შესაბამისად, შენ და შენი უფროსი თანასწორები ხართ; სინამდვილეში კი ხელფასი, და არა იმ შრომის ანაზღაურება, რომელსაც ასრულებ, ფარავს მთელ იმ აუნაზღაურებელ სამუშაოს, რომელიც მოგებაში მიდის. თუმცა, ანაზღაურების გადახდით იმის აღიარება მაინც ხდება, რომ ხარ მუშა და

შეგიძლია ივაჭრო, იბრძოლო ანაზღაურების პირობების და ანაზღაურების ოდენობის, სამუშაო პირობების და სამუშაოს ოდენობის გამო (ფედერიჩი 1974).

საშინაო შრომის შემთხვევაში კი, სიტუაცია თვისობრივად განსხვავებულია. განსხვავება ისაა, რომ ქალს არა მარტო დაევალა საშინაო საქმის შესრულება, არამედ ეს ვალდებულება ტრანსფორმირდა ქალის ფიზიკური და პიროვნული მოცემულობის ბუნებრივ მახასიათებლად, შინაგან მოთხოვნილებად, მისწრაფებად, რომელიც თითქოს ჩვენი შინაგანი, ქალური ბუნებიდან მომდინარეობს. სოციალურ კონტრაქტად აღიარების ნაცვლად, საშინაო შრომა უნდა ქცეულიყო ბუნებრივ მახასიათებლად, იმიტომ რომ კაპიტალის გეგმის საფუძველშივე ამ შრომას ანაზღაურება არ ეწერა. კაპიტალს უნდა დავერწმუნებინეთ, რომ ეს არის ბუნებრივი, გარდაუვალი და დამაკმაყოფილებელი საქმიანობაც კი, რათა ჩვენთვის აუნაზღაურებელი სამუშაო მისაღები გამხდარიყო. სამაგიეროდ, საშინაო შრომის აუნაზღაურებლობა გახდა ყველაზე ძლიერი იარაღი იმ ჩვეული შეხედულების გასამყარებლად, რომ საშინაო შრომა არ არის შრომა, რაც ხელს უშლის ქალებს, იბრძოლონ მის წინააღმდეგ, პრივატული, სამზარეულო-საძინებლის კამათებს მიღმა, რომლის დაცინვის საგნად ქცევაზე მთელი საზოგადოება თანხმდება და რითაც ბრძოლის პროტაგონისტი კიდევ უფრო სუსტდება. ჩვენ აღგვიქვამენ როგორც პრეტენზიულ ძუკნებს და არა როგორც მებრძოლ მუშებს (ფედერიჩი 1974).

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, კვლევის მიზანი იყო, რომ შემესწავლა თბილისში მცხოვრები ქალი გარემოვაჭრეების მდგომარეობა სამუშაო ადგილებზე.

მიზნიდან გამომდინარე გამოიყო კვლევის ამოცანები:

1) გარემოვაჭრე ქალების მოტივაცია და მიზნები (თუ რატომ დაიწყეს გარევაჭრობა, მათი ცხოვრების ისტორია, გამოცდილებები, „ვაჭრობა, როგორც სირცხვილი“ და ა.შ);

2) გარემოვაჭრე ქალების პრობლებისა და საჭირობების შესწავლა (დროის განაწილება, შინ შრომა და სამუშაო, სამუშაოზე არსებული პრობლემები, ურთიერთობა სახელმწიფოსთან, სხვა გარემოვაჭრეებთან და ა.შ);
3) მათ ყოველდღიურ სამუშაო რუტინაზე დაკვირვება (ჩაურთველი, გამჟღვანებული დაკვირვება).

შესაბამისად, როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, გარემოვაჭრე ქალების პრობლემების წარმოჩენა ახლა იწყება და ამ მიმართულებით ქართულ სამეცნიერო სივრცეში საკმარისი ცოდნა ჯერ კიდევ არ დაგროვებულა. ამან განაპირობა ის, რომ საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის რაოდენობრივი კვლევის მეთოდით შესასწავლად საკმარისი თეორიული საფუძველი არ გვაქვს, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურად და კვლევები კი შესაძლოა ქართული რეალობისთვის რელევანტური არ აღმოჩნდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ გარემოვაჭრე ქალების პრობლემები და გამოცდილებები, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე უჩინარი და ჩაგრული სეგმენტია დღესდღეობით. შესაბამისად, უპირატესობა თვისებრივ მეთოდს, კერძოდ, ზეპირი ისტორიებსა (Oral History) და ჩაურთველი, გამჟღვანებულ დაკვირვებას მიენიჭა.

იმისათვის, რომ უფრო მეტად მივახლოვებოდი და თავად მენახა ის პირობები, სადაც გარემოვაჭრე ქალები მუშაობენ, ჩავატარე ჩაურთველი გამჟღავნებული დაკვირვება. სოციოლოგიაში დაკვირვება პირველადი სოციალური მონაცემების მოპოვების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. მისი საშუალებით ხდება შესასწავლი ობიექტის უშუალო აღქმა და გამოკვლევის მიზნებისათვის მნიშვნელობის მქონე სოციალური ფაქტების პირდაპირი რეგისტრაცია. დაკვირვებამ საშუალება მომცა, უშუალოდ მენახა ის სამუშაო პირობები, სადაც მუშაობდნენ გარემოვაჭრე ქალები და მენახა ის პრობლემები, რასაც ისინი ყოველდღიურად აწყდებოდნენ. ამ მეთოდის საშუალებით, უკვეთ შევძელი დავახლოვებოდი რესპონდენტებს და მომეპოვებინა მათი ნდობა (გუნია 2016).

საველე სამუშაოების შემდეგ ეტაპზე კი გამოვიყენე ზეპირი ისტორიები. ზეპირი ისტორიები კვლევის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მეთოდია ფემინისტი

მკვლევრებისათვის. ბევრს მიაჩნია, რომ სწორედ ამ მეთოდით გახდა შესაძლებელი ქალების გამოცდილების შესახებ სიჩუმის დარღვევა აკადემიურ სფეროში. ქალთათვის ლაპარაკის უფლების მიცემამ ეჭვქვეშ დააყენა ის ტრადიციული იერარქია ქალსა და მამაკაცს შორის, რომელშიც ქალი მხოლოდ შესწავლის საგანი და არა თავად ცოდნის წყარო იყო. ფემინისტი მკვლევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სწორედ ზეპირი ისტორიების ჩაწერა იყო ის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ქალთა სპეციფიკურ, მამაკაცთაგან სრულიად განსხვავებულ გამოცდილებას წარმოაჩენდა (გუნია 2016).

საზოგადოებაში, რომელშიც ქალების არჩევანი შეზღუდულია, საკმარისი არ არის მხოლოდ მათი საქმიანობისა და ქცევის შესწავლა, რადგან მათი ქმედება ხშირად არ ასახავს მათ ფიქრებს. ამგვარად, ზეპირი ისტორიები არა მხოლოდ ქალების საქმიანობაზე, არამედ მათ გრძნობებსა და მოსაზრებებზეც ამახვილებს ყურადღებას. ზეპირი ისტორიები: (ა) იკვლევენ ქალების სუბიექტურ და ემოციურ გამოცდილებებს და მათ საქმიანობას. (ბ) ინტერვიუ უტოლდება ისტორიულ დოკუმენტს, იმ განსხვავებით, რომ მკვლევარს შესაძლებლობა აქვს, გაუგებარი ცნებებისა თუ მოვლენების განმარტება სთხოვოს რესპონდენტს (ბარქაია 2016).

ფემინისტური კვლევა ღიაა სიახლეებისთვის მეთოდოლოგიაში და კრიტიკულად იაზრებს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ტრადიციულ მეთოდებს. ფემინისტური კვლევა სხვა კვლევებისგან განსხვავდება, ასევე, იმით, რომ სოციალურ ცვლილებაზე და სამართლიანობაზეა ფოკუსირებული. ფემინისტი მკვლევრები ითვალისწინებენ მკვლევარსა და რესპონდენტს შორის არსებულ იერარქიას. კვლევის სუბიექტის და ობიექტის დიქოტომია მიანიშნებს მკვლევრის პრივილეგირებულ პოზიციაზე, რადგან მას შეუძლია კვლევის ობიექტების ცხოვრებისეულ გამოცდილებას მნიშვნელობა მიანიჭოს და განმარტოს. მკვლევრების ერთი ნაწილი ცდილობს, ეს იერარქია „თანასწორი“ ურთიერთობით ჩაანაცვლოს. მეორე ნაწილი თვლის, რომ ძალაუფლებრივი ურთიერთობები კვლევის გარდაუვალი შემადგენელი ნაწილია. თუ ადრე მკვლევრისა და რესპონდენტის ურთიერთობებში არსებული ძალაუფლება იყო დისკუსიის საგანი, დღეს ფემინისტები განიხილავენ იმას, თუ რა გავლენას ახდენს ძალაუფლება ცოდნის შექმნის პროცესზე (ბარქაია 2016).

სწორედ ამიტომაც, მოცემულმა მეთოდმა საშუალება მომცა საჭიროებისამებრ გადამეხვია წინასწარ გამოყოფილი საკითხებიდან, კითხვებიდან საჭიროებისამებრ, წამომეჭრა ახალი საკითხები.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული ინტერიუს გზამკვლევი პირობითად 3 ძირითადი ბლოკისაგან შედგებოდა და რეპონდენტს კითხვებზე თავისუფლად საუბრის და გაცემის საშუალებას აძლევდა:

1. პირველ ნაწილში კითხვები ეხებოდა რესპონდენტის ზოგად გამოცდილებებს: მის ასაკს, პროფესიას, ოჯახურ მდგომარეობას, ზოგად გატაცებებსა და პრობლემებს;
2. შემდეგი ბლოკი ეხებოდა სახლში არსებულ მდგომარეობას: საქმეთა გადანაწილებას, მეტ ინფორმაციას ოჯახზე, ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფასა და მოვალეობებს სახლში;
3. შემდეგი ბლოკი კი უშუალოდ არაფორმალურ ეკონომიკას ეხებოდა: კითხვები იმაზე, თუ როგორ და რატომ დაიწყეს გარევაჭრობა, რა პრობლემებს აწყდებიან სამუშაოს შესრულების დროს, "გარევაჭრობა", როგორც სირცხვილი და ა.შ.

საკვლევი პოპულაცია შედგებოდა ქალაქ თბილისში მცხოვრები, გარევაჭრობაში ჩართული ქალებისაგან. შერჩევითი ერთობა კი 16 რესპონდენტით განისაზღვრა. მათი ასაკი დაყოფილი იყო სამ კატეგორიად (30-45, 45-60, 60-დან ზემოთ), შესაბამისად თითო კატეგორიიდან მინიმუმ 2 რესპონდენტი მაინც გამოიკითხა სხვადასხვა ლოკაციაზე, რათა გაგებულიყო მათი სხვადასხვა გამოცდილება და საჭიროება.

გამომდინარე იქიდან, რომ საკვლევი პოპულაციის გამოკვეთილი ჩარჩო არ მქონდა, რესპონდენტები თოვლის გუნდის მეთოდით გამოყენებით შეგროვდა. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით დავუკავშირდი 16-ივე რესპონდენტს. საველე სამუშაოები 20 აპრილი - 10 მაისი შუალედში მიმდინარეობდა და ე.წ. გარევაჭრობის აკრძალვის შემდგომ პერიოდს ასახავდა.

კვლევის შეზღუდვები

ქვემოთ მოცემული კვლევის მთავარ შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რესურსებისა და დროის შეზღუდულობის გამო, კვლევა ჩატარდა თბილისში, შესაბამისად, ცენტრში არსებული გარემოვაჭრე ქალთა პრობლემები შეიძლება განსხვავდებოდეს პერიფერიებში არსებული პრობლებისაგან. აქედან გამომდიანრე, მოცემული კვლევა არ გვაძლებს საქართველოს გარემოვაჭრე ქალების პრობლების უფრო ფართო სურათით დანახვის საშუალებას.

თავი 3. კვლევის შედეგები.

§ 3.1. დაკვირვება.

უშუალოდ დაკვირვების შედეგებზე რომ ვისაუბროთ, საველე სამუშაოები და დაკვირვების პროცესი საკმაოდ რთული იყო ჩემთვის, რადგანაც ვუყურებდი გარემოვაჭრეები მძიმე მდგომარეობას, მძიმე ხის ყუთებს, სადაც თავიანთი წვრილმანი საქონელი ეწყოთ. ძალიან მძიმეა მათი ყოველდღიურობა: სიცივესა და ცუდ ამინდში - ყინვა, ხოლო სიცხეში - წარმოუდგენელი სიცხე. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, თუ რა მდგომარეობაა გარემოსა და ჰაერის დაბინძურების კუთხით თბილისში, მაშინ მივხვდებით, თუ რისი სუნთქვა უწევთ მათ ყოველდღიურად, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფსიქოლოგიურ წნეხზე, რასაც ყოველდღიურად განიცდიან.

(I) გარევაჭრობა და კონტროლი: ზედამხედველობის სამსახური მუდმივად აკონტროლებს გარემოვაჭრეებს. მათ ხშირად დამალვა უწევთ, თუმცა რესპონდენტთა ნაწილმა შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმადაც, რამდენიმე მათგანი პერიმეტრს აკონტროლებდა და დადიოდა სანამ სხვები ვაჭრობდნენ, რომ სპეცსამსახურის გამოჩენა დროულად ენიშნებინა დანარჩენებისთვის. შემდეგ გარემოვაჭრეები სასწრაფოდ აგროვებდნენ პროდუქციას და

დასამალად გარბოდნენ. თუმცა, დღესდღეობით, ყველაზე ხშირი მაინც ბაწარზე დაკიდებული ხის მძიმე ყუთებია, რომელთა საშუალებითაც ისინი უფრო მარტივად ახერხებენ გადაადგილებას, თუ ზედამხედველობის სამსახურს დაინახავენ;

(II) სოლიდარობა - განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სოციალური გაჭირვების, მუდმივი კონკურენციის ფონზე, გარემოვაჭრე ქალები სულ უფრო დეზორგანიზებულები არიან და მათ შორის ძალიან ცოტაა სოლიდარობა: ისინი ხშირად ჩხუბობენ და უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ სხვადასხვა ლოკაციებზე დასაქმებული გარემოვაჭრეები თბილისის მერიამ სხვადასხვა დროს აყარა, შესაბამისად, მოუსპო გაერთიანებისა და ერთად ბრძოლის საშუალება. ხშირია მათ შორის დაპირისპირება და კამათი. მათ ასევე ხშირად უპირსპირდებიან ბაზარში და მაღაზიებში დასაქმებულები;

(III) სავაჭრო საქონელი - გარემოვაჭრეთა უმრავლესობა დღეს არის წვრილი საქონელის გამყიდველი: მზესუმზირა, სიგარეტი, ხშირად ყვავილები, მეორადი წიგნები და ა.შ.

(IV) ადამიანების დამოკიდებულება - განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ გარემოვაჭრეები ძირითადად გამვლელებში არ აღძრავენ სოლიდარობის განცდას: ძირითადად მათ პოზიციაა, რომ ქალაქი უნდა გაიწმინდოს და გასასვლელები გაჩნდეს ტროტუარებზე (თუმცა კი იმავე ტროტუარებზე ათობით მანქანა არ აძლევს ფეხითმოსუარულეებს გავლის საშუალებას). ესეც გარკვეულწილად პროპაგანდის ნაწილია, რომელსაც თბილისის მერია ყოველი ასეთი ქმედებების დროს აწარმოებდა. ასევე ნიშანდობლივია ის, რომ ბუკინისტობა, როგორც გარევაჭრობის ტიპი, დაფასებულია ჩვენს რეალობაში, სხვა გარევაჭრობის ტიპებისაგან განსხვავებით. ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ ბუკინისტთა უმრავლესობა, ჩემი დაკვირვებებით, კაცია.

(V) გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს არ აინტერესებს ეს ადამიანები და არ ცდილობს მათი პრობლემების მოგვარებას, პირიქით, უფრო აგრესიულად და ძალადობრივად ცდილობს მათგან საჯარო სივრცეების დაცლას. მათ ხშირად

მიმართავენ არაკორექტულად, ლანძღავენ და ეპყრობიან არაღირსეულად. ეს აგრესიის ტალღა განსაკუთრებით იზრდება არჩევნების შემდგომ პერიოდში, როცა გარემოვაჭრეთა „განაწყენება“ ვეღარ ახდენს უკვე გავლენას პოლიტიკურ არჩევანზე.

§ 3.2 ზოგადი ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ

ახლა უშუალოდ ინტერვიუები ანალიზზე გადავიდეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, თავდაპირველი საკითხები მოიცავდა კითხვებს რესპონდენტების ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

გარემოვაჭრე ქალების უმრავლესობა, 50-60 წლისები არიან, რომელთაც ჰყავთ ოჯახი და უწევთ მისი უზრუნველყოფა.

ნელი[1], 53 წლის: „მე ვარ ნელი. მყავს მეუღლე და ერთი ბიჭი. ჩემმა ბიჭმა ახლა მოიყვანა ცოლი და პატარა გოგო გვყავს. ფინანსურად ძალიან გვიჭირს, ხოდა ერთ დღეს იძლებული გავხდი გამოვსულიყავი და ვყიდი მეორად წიგნებს. თავიდან ჩემი ბიჭის წიგნებით დავიწყე და ახლა კი ვარ ასე. ჩემი ქმარიც მეხმარება ხანდახან, მერია გვპირდება, დახლებში შეგიშვებთო, მარა აბა ვინ სად შეგიშვებს, თან წიგნი თუ არ დაინახეს ხალხმა, ვის რაში უნდა. მაგას ისევ ფეხზე დგომა და ხელში ჭერა ჯობია...“

ქეთევანი, 63 წლის: „იანვარში თან მქონდა ის თანხა, რაც საქონლის მოსატანად მჭირდებოდა, სანამ მომხმარებელს ვემსახურებოდი პატარა ბიჭებმა საფულე ამომაცალეს და გაიქცნენ. იმდენად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი, სასოწარკვეთილებისგან მანქანას შევუვარდი, საპატრულო პოლიცია, სასწრაფო დახმარება ყველა აქ იყო, ძლივს გადამარჩინეს.“

[1] სახელები აქაც და შემდგომაც, კონფიდენციალურობის მიზნით, შეცვლილია.

თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც მარტოხელაა, შესაბამისად, მათთვის გარევაჭრობა გარკვეულწილად სოციალიზაციისა და რეალიზაციის ადგილიცაა, მიუხედავად მძიმე სამუშაო პირობებისა.

დარეჯანი, 64 წლის: მარტოხელა ვარ, დედაც გარდამეცვალა. არ უნდოდა ჩემი მარტო დატოვება, მარა წამალი არ მქონდა და ვერ ვუშველე. მერე აქ გამოვედი, გული რომ გადამეყოლებინა და ბოლოს დავრჩი. ვმეგობრობ გოგოებთან და 2 კაპიკსაც ვაკეთებ. პენსიით როგორ უნდა ვიცხოვრო აბა?! თან თავსაც ვირთობ აქ...“

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მარტოხელა დედების როლი, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავთ შვილები და უწევთ მათზე ზრუნვა, იძულებულები არიან გამოვიდნენ და ივაჭრონ მძიმე პირობებში და თან შვილებზეც იზრუნონ.

ლალი, 40 წლის: "მარტოხელა დედა ვარ, აქ გამოსვლა ქმრის სიკვდილის შემდეგ მომიწია, ხომ უნდა მერჩინა ჩემი შვილები როგორღაც."

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ გარემოვაჭრეების მოგება იმდენად ცოტაა, რომ მიუხედავად იმ მძიმე სამუშაო პირობებისა და შესრულებული სამუშაოს სირთულისა, მათ ფორმალურ სექტორში დასაქმებულ ადამიანზე ბევრად ნაკლები შემოსავალი აქვთ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისინი მოკლებულნი არიან ყველანაირ ბენეფიტს სახელმწიფოსგან, ისინი არავის ახსოვს და არც მათი ბედი აინტერესებს ვინმეს, პირიქით, სახელმწიფო უფრო მეტად რიყავს მათ საჯარო სივრცეებიდან, რათა „ქალაქის იერსახე შეინარჩუნოს“.

ნინო, 58 წლის: „95-ში წავედი მოსკოვში, რაც კი რამ გამაჩნდა, ყველაფერი გავყიდე, იქ კი ჩეჩნებმა წამართვეს ყველაფერი. ჩემოვედი 2008 წელში, სადაც ომი დაიწყო, იმის მერე მოყოლებული, სულ ომში ვარ, სულ გაწამაწიაში ვარ. მყავს 6 შვილიშვილი, 4 ობოლია, 11 სულიანი ოჯახი მაქვს. ბავშვები მამით ობლები არიან და მე უნდა შევინახო, იმიტომ, რომ მის მამას სიცოცხლეში პირობა მივეცი, რომ ეს ბავშვები ვაჟკაცებად გავზარდო. მე დელისის მეტროს მიმდიბარე ტერიტორიაზე ვვაჭრობ, მაგრამ გაითვალისწინეთ ის, რომ მე სხვის ჩაბარებულ

ტანსაცმელზე ვვაჭრობ, ჩემი ყოველდღიური შემოსავალი არის 7-8 ლარი... სახელმწიფო მაძლევს 60 ლარს და მთელი წლის შემოსავალი არის ის 60 ლარიანი სოციალური დახმარება. ბევრჯერ ეს ბავშვები სავადმყოფოში მეწვა, მერე კიდევ სირისტიან ბინაში ვცხოვრობ. რო ჩამოვედი, სახლი არ მქონდა, კარი არ მქონდა, ყველაფერი დაკარგული მქონდა და შევედი რადიო ქარხანაში, სადაც სხვა სოციალურები ცხოვრობენ იქა. იქ იუსტიციამ დამირეგისტრირა ეს ოთახები, მარა ყოვლად შეუძლებელიქ იქ ცხოვრება, ფანჯრიდან კარი შემოდიოდა, ცელოფნით მაქვს ის კედელი გაჭედილი... წვიმდა ამას წინათ და 6 ვედრო წყალი ავწურე ფანჯრიდან.... მუნიციპალიტეტმა კიდე მითხრა, ჩვენ სახელმწიფოს არ აქვს არცერთნაირი ფონდი და ვერ დაგეხმარებიო, თან ჯეგეებში ჰქონდა ხელი ჩაყოფილი.“

ასევე ბევრია ისეთი, ვინც თავად საჭიროებს დახმარებას, თუმცა იძულებულია, რომ გამოვიდეს და ისევ თვითონ არჩინოს ოჯახი, რადგანაც ის ერთადერთია, ვისაც ამ საქმის გაკეთება შეუძლია.

მერი, 54 წლის: „54 წლის ქალი ვარ, სულ წნევები და პრობლემები მაქვს. აქაც ბევრჯერ გავხდი ცუდად, ერთ-ორჯერ სასწრაფოც გამოვიძახეთ, თავის დანებებაც მინდოდა მუშაობისთვის, მარა მერე ვიფიქრე, გინდ აქ მოკვდარხარ და გინდ შიმშილით, რა აზრი აქვს. აქ 1-2 კაპიკს მაინც ვაკეთებ. ჩემმა ბიჭმაც ვერ იპოვა სამსახური, უმაღლესი დავამთავრებინე და ზის სახლში უმუშევარი, თუ ვინმე არ გყავს, ვინ დაგასაქმებს, შვილო, ისე...“

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გარემოვაჭრეთა უმრავლესობა სიღარიბის პირას მყოფი ადამიანებია, რომელთაც არ გააჩნიათ არანაირი კაპიტალი, თუ დამატებითი შემოსავალი, შესაბამისად, მთლიანად მიბმულები არიან გარევაჭრობაზე. შემოსავლის გარეშე დარჩენა ნიშნავს იმას, რომ ისინი დარჩებიან ამ საარსებო წყარო გარეშეც, რაც მათი პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს მხოლოდ: "ჩვენ არ გვაქვს ავადმყოფობის და სიკვდილის უფლება, მერე ჩვენი ოჯახები საერთოდ ულუკმაპუროდ დარჩება".

თინა, 74 წლის: "რა ვქნა შვილო, ყოველდღე არ შემიძლია ვაჭრობა, მაგრამ ტავს ძალას ვატან და ძირითადად აქ ვარ, ლიმონს და პურს ვყიდი. ყველაფერი მტკივა, წამლის ფულს აქ ვერ ვშოულობ, მაგრამ იმას მაინც ვცდილობ, რომ თავი გავიტანო. სულ არ მინდა აქ დგომა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. თუ ამიკრძალავენ აქ მოსვლას, შიმშილით ამომხდება სული, მაგრამ საწყალი ხალხის დარდი ვინმეს ოდესმე ჰქონია? მარტო ჩვენზე კი არა, მ ადამიანებზეც უნდა იზრუნონ, ვინც ჩვენთან დადის სავაჭროდ - ხალხს ბაზარში შესვლის საშუალება არ აქვს და ჩვენტან იაფად ვაჭრობენ. რა ვქნათ ყველამ?!"

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ კარგად იციან, რომ გარევაჭრობა კანონით აკრძალულია, თუმცა იმდენად დაბალია მათი საქონლის ფასი, რომ იძულებულები არიან ღირსება შეელახოთ, მოითმინონ არაკორექტული დამოკიდებულებები ზედამხედველობის სამსახურებიდან და ხშირად, ხალხისაგან.

ნაზი, 59 წლის: "ძონძებით ვვაჭრობ, რომელსაც ხან სად ვიღებ და ხან სად. ჰოდა სად წავიდე? იმდენი ფული როგორ გადავიხადო დახლებში, რა რაოდენობითაც საქონელი არ მაქვს? საშინელებაა აქ მუშაობა, მაგრამ რა ვქნა."

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ, ჩინოვნიკებმა, როგორც წინა, ასევე ახალი ხელისუფლების პირობებში, კარგად იციან ის მძიმე სოციალური მდგომარეობა, რაშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ, ბანკების პოლიტიკის შესახებ, სადაც სესხს ყველა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანი იღებს, თუმცა მაინც აგრძელებენ ამ პოლიტიკის გატარებას და მათ საჯარო სივრცეებიდან გაძევებას. მათი ეს პოლიტიკა მმართველი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელებაა. ლელა რეხვიაშვილი 2012-2014 წლებში თავის ეთნოგრაფიულ კვლევაში ამბობს, გარემოვაჭრეებისგან ქუჩების დაცლა არა მხოლოდ მძიმე და ტრავმული წარსულისაგან განთავისუფლებისა და "ევროპული სახელმწიფოს შექმნის" მცდელობაა, არამედ ნეოლიბერალური იდეოლოგიის მიერ წარმოებულ მარკეტიზაციის, კერძო საკუთრების ფეტიშიზაციისა და ფიქციური სიკეთეების კომოდიფიკაციის ლოგიკაა (ქებურია, 2017).

ნანა, 36 წლის: "ზაფხულში 20 ლარით დამაჯარიმეს. პოლიცია მოულოდნელად დამადგა თავს. სამი კილო ყველი და რძე მქონდა, ისიც წამართვეს. რა თქმა უნდა,

ჯარიმა გადავიხადე. მას შემდეგ, გაფაციცებით ვიცქირები აქეთ-იქით. როცა კლიენტს ემსახურები, ამ დროს შეიძლება მანქანიდან გითვალთვალებდნენ ან ზურგიდან მოგეპარონ და დაგაჯარიმონ."

ამის კარგი მაგალითია ის, რომ კალაძემ 15 წლის გიგის ჯიხური გადასცა, რათა გარევაჭრობის პრეცენდენტი არ დაეშვა და სისტემის ურყეობა დაემტკიცებინა (ლიბერალი 2018).

§ 3.3 რესპონდენტების გატაცებები და ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები

რაც შეეხება რესპონდენტებთა გატაცებასა და ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს, ფაქტობრივად, მათთვის არ არსებობს პირადი ბედნიერება, ცხოვრება, მათი ცხოვრება მუდმივი გადარჩენის პროცესია, სადაც თავიანთი თავი არ ახსოვთ, შესაბამისად, მათთვის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი საყვარელი ადამიანის ბედნიერებასთან, მათთვის სარჩოს მიტანასთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შვილები და შვილიშვილები, რომელთა კეთილდღეობა მათთვის მთავარი მამოძრავებელია. თუმცა, ესენი არიან ქალები, რომლებსაც არ გააჩნიათ პირადი ბედნიერება, არ შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა სიკეთით და იზრუნონ თავიანთ თავზე, მათ მუდმივად უწევთ აიტანონ აგდებული დამოკიდებულება და იმუშაონ კაბალურ პირობებში. თუმცა, მათთვის განსაკუთრებით მძიმე სტრესული გარემოა, სადაც ყოველდღე ელოდებიან პოლიციას, რომელიც მზად არის მათ გადაუაროს, დაუზიანოს დახლები და უბრალოდ, გადარეცხოს ისინი.

ნანა, 36 წლის: "რაღა უნდა მახარებდეს, ან რითი უნდა ვერთობოდე, ერთადერთი ჩემი შვილები მახარებს და იმათაც ვერ ვხედავ, აქ რომ ვარ, ვერც საჭმელს ვუკეთებ და ვერაფერს. ახალგაზრდა ქალი ვარ და ერთადერთი რაც მინდა არის ის, რომ რამე გავყიდო და ჩემ შვილებს ვაჭამო რამე. ნავთლუღში რძის ნაწარმს ვყიდი."

ციური, 47 წლის: „ჩვენ ხო გარევაჭრობა დაბადებიდან არა გვაქვს, ჩვენ ღირსეული ადამიანები ვართ, გვაქვს განათლება. მაინტერესებს, რა გველოდება ხვალ, არავის არ ვაინტერესებთ. ყოველთვის ასე იყო, ჩვენ მარტო მაშინ ვახსენდებით ვინმეს, როცა რამე სჭირდებათ. უბრალოდ საშვალება მოგვცენ, აქ დავდგეთ, სხვას არაფერს ვითხოვ და ჩვენი გახარებაც ეგ იქნება.“

უშუალოდ იმ პრობლემებზე საუბრისას, რის წინაშეც ამ ეტაპზე დგანან რეპონდენტები, ისინი ასახელებენ სოციალურ მდგომარეობას, ამბობენ იმას, რომ სახელმწიფო საერთოდ არ ზრუნავს არც მათზე და არც მათ ოჯახის წევრებზე. დღესდღეობით, სახელმწიფო, ფაქტობრივად, სიკვდილისთვის წირავს მოსახლეობას, რაც განსაკუთრებით ქალებზე ახდენს გავლენას.

ნინო, 58 წლის: "ზოგჯერ მივდივარ, სისხლს ვაბარებ, ბავშვებს ხილი რომ მივუტანო. ჩემი შვილი ვერ მუშაობს, 4 ბავშვი ვის უნდა დაუტოვოს. მეუღლე მუშაობს, მაგრამ ისიც ავადმყოფობს. სულ იმას ვფიქრობ, მე რომ რამე დამემართოს, ჩემს ობლებს რა ეშველებათ?"

როგორც სილვი ფედერიჩი თავის სტატიაში, "დაუმთავრებელი ფემინისტური რევოლუცია", აღნიშნავს, გლობალურად, ქალთა საშინაო შრომა კომპენსირებას უკეთებს დროებით გათავისუფლებებს, საკვების ფასების მკვეთრ ზრდას, სოციალური სერვისების გაქრობას, პრივატიზაციას და ზოგადად, ოჯახის შემოსავლის გაქრობას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებში, რომლებიც სტრუქტურულ რეგულირებას ექვემდებარებიან, სადაც სახელმწიფომ პრაქტიკულად შეწყვიტა ჯანმრთელობაში, განათლებაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა ძირითად საჭიროებებში ფულის ინვესტირება. შედეგად, მთელ მსოფლიოში ქალებმა ახლა უფრო მეტი დრო უნდა დახარჯონ წყლის მოსატანდ, საკვების მოსამზადებლად და დაავადებებთან გასამკლავებლად, რომლებიც ახლა უფრო ხშირი და საზიანოა. ჯანდაცვის სფეროს მარკეტიზაციამ კლინიკებში ვიზიტები გახადა მიუწვდომელი, მაშინ, როცა კვებითმა დარღვევებმა და გარემოსა და ბუნების განადგურებამ, ადამიანები გახადა უფრო დაუცველი დაავადებების წინაშე (Federici 2012).

ასევე აშშ-ში ბიუჯეტის შემცირების გამო, საავადმყოფოებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების უმრავლესობის, რომლებიც ტრადიციულად იმართებოდა, პრივატიზება მოხდა და გადამისამართდა სახლში, ქალთა აუნაზღაურებელი შრომის ხარჯზე. დღესდღეობით, პაციენტებს უშვებენ საავადმყოფოდან ოპერაციის შემდეგ და "სახლმა" ისინი უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა პოსტ-ოპერატიული და სამკურნალო სამედიცინო მომსახურებით (მაგალითად, ქრონიკული ავადმყოფობის დროს), რასაც ადრე ექიმები და პროფესიონალი ექთნები აკეთებდნენ. ასევე შემცირდა სახელმწიფო დახმარება ხანდაზმულთათვის (საოჯახო საქმეებისთვის, პერსონალური მოვლისთვის). შესაბამისად, ეს ყველა სერვისი ქალების, განსაკუთრებით კი, დაბალი კლასის ქალებს დააწვა (Federici 2013).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავაკრიტიკოთ უშუალოდ საბანკო პოლიტიკა, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველა რესპონდენტი გამოჰყოფს. თითოეულ მათგანს, სოციალური მდგომარეობის გამო, უწევს სესხის აღება, რომელსაც წარმოუდგენლად მაღალი პროცენტი ერიცხება. შედეგად, ლარის დევალვაციის მიუხედავად, კომერციული ბანკები კიდევ უფრო მდიდრდებიან.

> *დარეჯანი, 64 წლის: "დღეს ყველას ბანკის ვალი გვაქვს, ზოგი ვერც ვიხდით და მერე გვერიცხება კიდევ იმაზე ჯარიმა და ვართ სულ ნერვიულობაში, გვახრჩობენ ვალები. რომ გაიხედოთ ირგვლივ, ყველას ბანკის ვალი აქვს. დღეში პურის ფულს ძლივს ვშოულობთ, ის ფულის ბანკში მიდის და კიდევ ჩვენთვის ამ საარსებო წყაროს მოსპობაც უნდათ. ბაზარში რომ შემიშვან, როგორ გადავიხდი მე დახლის ფულს."*
>
> *ნელი, 53 წლის: "ყოველთვე ბანკის ფული მაქვს შესატანი, ჩემი შვილიშვილის საჭმელი 19 ლარი ღირს, ცალკე წამლებისთვისაც მჭირდება თანხა. პატარა ბავშვს ყოველდღიურად უამრავი რამ სჭირდება და სახლში რომ დავჯდე, ოჯახი რით შევინახო?!"*

2015 წლის ნოემბრის პერიოდისთვის არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ერთი წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები – 24,7%-ით გაიზარდა და 24,4 მილიარდ ლარს შეადგენს. წლის ბოლოსთვის კომერციული ბანკების

წმინდა მოგებამ ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა და ეს არის მოგების ისტორიული მაქსიმუმი კომერციული ბანკების ისტორიაში. (ვარადაშვილი, 2015)

დარეჯანი, 64 წლის: "მეუღლე გამიხდა ავად, გულის შეტევა ჰქონდა და იძულებული გავხდი ბანკიდან 500 ლარი გამომომეტანა. ახლა 200 ლარი მაქვს დარჩენილი და ორი თვეა ვერ შევიტანე. სასამართლოს გადაგცემთო, მეუბნებიან, მაგრამ რითი შევიტანო, მითხარით."

§ 3.3 საშინაო შრომა

რაც შეეხება, საშინაო შრომას, იმ სოციალური გაჭირვების, სოციალური უთანასწორობისა და სიღარიბის ფონზე, რასაც გარემოვაჭრე ქალები განიცდიან, მათ მიერ შესრულებული საშინაო საქმე კიდევ უფრო უფასურდება. ამ ადამიანების მთავარი მამოძრავებელი არის გადარჩენა და ოჯახში საჭმლის მიტანა, შესაბამისად, მათი შინ შესრულებული სამუშაო კიდევ უფრო ნაკლებად ხილულია. მათ გარდა იმისა, რომ უწევთ წვიმაში და სიცივეში, სიცხესა და მზეში ღია ცის ქვეშ დგომა, შინ დაბრუნებისას, უწევთ დალაგება, გარეცხვა, საჭმლის გაკეთება, ოჯახის წევრების მოვლა, ავადმყოფებზე ზრუნვა და ა.შ. არასტანდარტული შრომითი პირობების გამო, თვითდასაქმებულები ვერ სარგებლობენ დასაქმებულის ოფიციალური სტატუსით, რაც მომავალში მათთვის მინიმალურ სოციალური გარანტიებზე წვდომის საფუძველი უნდა იყოს. შესაბამისად, მათი ყოველდღიურობა მოიცავს მძიმე სამუშაო პირობებს, რომელიც ზოგადი სოციალური მდგომარეობის ფონზეც ძალიან დაბალია და საშინაო საქმეს, რომელიც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის შესუსტების გამო, კიდევ უფრო იზრდება.

მზია, 42 წლის: "სოციალურად დაუცველი ვარ. არც გაზი მაქვს, არც მაცივარი, არც - სარეცხი მანქანა. 56 კვადრატულ ბინაში 11 ადამიანი ვცხოვრობთ და ხანდახან, ყველაფერი ჩემზე გადადის: ბავშვებს ხომ უნდათ მოვლა, დაბანა, დალაგება. ნახევრად დანგრეულია სახლი და წლის პრობლემაც გვაქვს ხშირად, მაგრამ რას

ვიზამთ, გაგვაქვს თავი. ჩემი ქმარიც რაღაცას ცდილობს, ფულის შოვნას. ჩემი გოგო გაიზარდა ახლა და პატარების მოვლაში ეგ მეხმარება."

მიუხედავად იმისა, რომ გარემოვაჭრეები მუშაობენ და ხშირად, ძირითადი შემომტანები ოჯახში სწორედ ისინი არიან, საშინაო შრომა მათთვის მაინც გენდერულად სეგრეგირებულია და ქალის მოვალეობად მიიჩნევა. შესაბამისად, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალების შრომას, ერთი მხრივ, არ აღიარებს სახელმწიფო და მეორე მხრივ, პატრიარქალური დღის წესრიგი.

ნაზი, 59 წლის: "ისე გამოვიდა, რომ ჩემი ქმარი უმუშევარი დარჩა, შემცირებებში მოყვა, ჰოდა იძულებული გავხდი, ვაჭრობა დამეწყო. ჯერ ჩემი შვილების წიგნებით დავიწყე და მერე წიგნების აღება და გაყოდვა დავიწყე. ამ ბოლოს წიგნების პატარ მაგიდაზე დადების უფლება მოგვცეს, თორემ მანამდე ხელში გვეჭირა და ისე ვყიდდით. ახლა შემომტანი მე ვარ ოჯახში მარტო და გაგვაქვს ასე თავი, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? როდემდე უნდა ვიყოთ შიშში? ან როდემდე უნდა უწევდეს მოხვეტვა ჩემ ქმარს, იმიტო, რო მე სახლში არ ვარ?"

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულებაც, რომლის თანახმადაც, თუ მამაკაცი საშინაო საქმეს აკეთებს, მაშინ ეს დროებითია, ხოლო ქალისთვის - მუდმივი, მისი იდენტობის განუყოფელი ნაწილი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში შემომტანები არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ქალები არიან, ისინი მაინც სუბროდინირებულ დამოკიდებულებაში არიან ქმრებთან, მამამთილებთან, მამებთან, თუ ძმებთან.

ციური, 47 წლის: „ჩემი ქმარიც ასე ჩემსავით არასტაბილურად მუშაობს, სახლებს და ა.შ არემონტებს. მარა იმდენად ისეთი კაი ურთიერთობა გვაქვს, რომ მეხმარება სახლის საქმეებშიც, ძირითადად, ბავშვებს უვლის, ან საჭმელს აკეთებს. ძალიან კარგი ხელი აქვს.“

თამარ ქებურია, თავის სამაგისტრო ნაშრომში „ძალადობის პრაქტიკები - გარე ძალადობის შეღწევის პრაქტიკა პრივატულ სივრცეებში“ მიმოიხილავს დელფისა და

ლეონარდის წიგნს: "ნაცნობი ექსპლუატაცია: ქორწინების ახალი ანალიზი თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებში". ისინი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა ახდენს თუ არა მამაკაცი საშინაო საქმიანობის გაზიარებას, იღებს თუ არა ის საკუთარ თავზე გარკვეული შინამეურნეობის საქმეები შესრულებას, მოცემული არგუმენტი არ გამოდგება შიდა შრომის გენდერულად სეგრეგირებულობის მახასიათებლის გადასააზრებლად, რადგან მამაკაცის მიერ შესრულებული შინა სამეურნეო საქმეები აუნაზღაურებელი ან უხილავ შრომის კატეგორიაში არ თავსდება, პირიქით, იმის გამო, რომ მამაკაცი შრომის პროცესში კვლავ ოჯახის უფროსის სტატუსს ინარჩუნებს, მისი შრომა წარმოადგენს შრომის გენდერულად სეგრეგაციისა და ოჯახის სხვა (დამოკიდებული) წევრების შრომის ეფექტურობის თუ პროდუქტიულობის გაზრდის კვლავწარმოებას. გარდა ამისა, დელფი და ლეონარდი აღნიშნავენ, რომ კიდევ ერთი პრეროგატივა მამაკაცის შინასამეურნეო საქმეების შესრულებისას არის ის, რომ ისინი თავად ირჩევენ თუ რა საქმე შეასრულონ, შიდა შრომის რომელი ასპექტები აიღონ საკუთრ თავზე. მათი არჩევანი არ წარმოადგენს აუცილებელი გარემოებით ან გარკვეული ვალდებულებით განპირობებულ ქცევას, არამედ მათ სურვილთან და განწყობასთან თანხვედრაში რჩება. (ქებურია, 2016)

> *ლალი, 40 წლის: "ისედაც ვერაფერს ვაკეთებ ოჯახისთვის. ეს სამუშაო რეალურად მარტო პურს, შაქარს და ასეთ რამეებს თუ ჰყოფნის. სახლშიც იშვიათად ვარ. ჩემი მეუღლეც ცდილობს რაღაცები გააკეთოს, მარა ყველაფერს ხომ ვერ იზამს? ადრე კარგად ვცხოვრობდით და რაღაცეების გაყიდვა არ მიწევდა და ახლა რომ ამის გაკეთება უწევს ჩემს მეუღლეს, ისიც მრცხვენია."*

§ 3.3 დასაქმება არაფორმალურ სექტორში

საქმიანობა გარევაჭრობის დაწყებამდე

რესპონდენტების შესახებ ზოგადი ინფორმაციიდან და საშინაო შრომიდან, ახლა უშუალოდ არაფორმალურ სექტორში დასაქმებაზე გადავიდეთ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების ნაწილი, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ, გარევაჭრობაში ჩაბმამდე მუშაობდნენ ან ფორმალურ სექტორში. თუმცა სოციალური მდგომარეობის, გარემო პირობებისა და ეკონომიკური ტრანზიციის პირობებში, მოუხდათ გარეთ გასვლა და ვაჭრობა.

ნინო, 58 წლის: "განათლებაც მაქვს უმაღლესი, პედაგოგი ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის, მაგრამ რა აზრი აქვს, დროებაც და ყველაფერმა აქამდე მომიყვანა. ძალიან გამიჭირდა, თორემ არასდროს წარმომედგინა, რომ ასე ვივაჭრებდი."

მერი, 54 წლის: "ფონიჭალაში ბინა მქონდა, რომელიც წლების წინ გავყიდეთ და ოჯახი საცხოვრებლად რუსეთში გადავედით. იქ მაღაზიას ვამუშავებდი, რომელიც 18.000 დოლარად ვიყიდე. მაღაზია ვიღაც ჩეჩენის სახელზე იყო გაფორმებული. იმ დღეებში, როცა ჩემზე უნდა გადმომეფორმებინა, დედა გარდამეცვალა, რეგისტრაციის გაკეთება ველარ მოვასწარი, იმ კაცმა კი ომონი დაგვაყენა თავზე და ყველაფერი მას დარჩა. მერე დეპორტი გაგვიკეთეს და რუსეთიდან ყველანი გამოგვყარეს."

რესპონდენტთა ნაწილმა კი სოციალური სიდუხჭირისა და გაჭირვების გამო ვერ მოახერხა სათანადო უნარ-ჩვევებისა და განათლების მიღება, შესაბამისად განწირული აღმოჩნდა არაფორმალური, დაბალშემოსავლიანი და სამსახურისთვის.

ნანა, 36 წლის: "ოჯახში არავის გვქონდა საშუალება, რომ მესწავლა სადმე, როცა დედას შეეძლო, მაშინ მუშაობდა და მე სახლს ვუვლიდი, როცა დედაჩემს აღარ შეეძლო, შემდეგ უკვე მე გამოვედი სამუშაოდ, რომ ოჯახზე მეზრუნა და შემენახა."

ციური, 47 წლის: "ისე გამოვიდა, რომ არც საშუალება გვქონდა, რომ მესწავლა და მალევე გავთხოვდი, მერე მზარეულად ვმუშაობდი და სამსახური რომ დავკარგე,

იმიტომ, რომ სასადილო დიახურა, ახლა აქ დავატარებ რაღაცეებს და ვირჩენ თავს."

შესაბამისად, ეკონომიკური ტრანზაციის შემდეგ დაბალშემოსავლიანი და არაფორმალური სამუშაო ადგილები, რომლებიც არ უზრუნველყოფდა არანაირ სოციალურ უსაფრთხოებას და გარანტიებს, ერთი მხრივ, დაიკავეს ერთ დროს ფორმალურ სფეროში დასაქმებულებმა, რომლებმაც დაკარგეს ძველი სამუშაოები და ვერ აღმოჩნდნენ მზად შეეთვისებინათ გადარჩენისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. მეორე მხრივ კი ადამიანებმა, რომლებიც ან სქესის გამო ვერ მიიღეს სათანადო განათლება, რადგანაც მალე შექმნეს ოჯახი, ან/და სოციალური მდგომარეობის გამო, რადგანაც არ ჰქონდათ საშუალება და რესურსი განათლების მისაღებად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია 90-იანების ომი, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ახალ გარემოში, ვერ შეძლეს თავის დამკვიდრება და სოციალური მდგომარეობის გამო, ბევრი პირი გარევაჭრობით ირჩენს თავს.

აქედან გამომდინარე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, სოციალურმა რეალობამ, ეკონომიკურმა ტრანზიციამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და სამოქალაქო ომმა, გარემოვაჭრე ქალები იძულებული გახადა, გასულიყო გარეთ და მძიმე სამუშაო პირობების მიუხედავად, ეზრუნა ოჯახზე.

ქეთევანი, 63 წლის: „ჩვენ გაჭირვებამ გამოგვიყვანა ქუჩაში, თორემ აქ ყოფნა კი არ გვიხარია, ბაზრის დირექციამ დაგვიკლოს გადასახადები, შევალთ ბაზარში და იქ ვიმუშავებთ, ჩამორთმევის უფლება არ აქვთ, მაგრამ წიხლებით, რომ გვიყრიდნენ პროდუქციას ქუჩაში და კანონს არღვევდნენ, მაშინ დამნაშავეებად მხოლოდ ჩვენ რატომ გამოვყავდით?"

როგორც უკვე აღინიშნა, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბანკების პოლიტიკა, რომლის შედეგადაც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დარჩა ბინების გარეშე, რასაც ხელს უწყობდა სახელმწიფოს საბინაო პოლიტიკა, უფრო ზუსტად კი საბინაო პოლიტიკის არ არსებობა (ბრეგვაძე, 2015).

ნაზი, 59 წლის: "უკვე წლებია, რაც გარევაჭრობით ვარ დაკავებული, გლდანის მეტროსთან. ბანკმა რამდენიმე წლის წინ ბინა გამიყიდა, დღეს შვილთან და 2 თვის შვილიშვილთან ერთად სხვის ბინაში ვცხოვრობ და ქუჩაში იმიტომ ვგავარ, რომ ყოველთვიურად ბანკის პროცენტები დავფარო და პატარა შვილიშვილისთვის საჭმლისა და წამლის ფული ვიშოვო."

გარევაჭრობა და ნათესავები

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ის, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ გარემოვაჭრე ქალების მიმართ ოჯახის წევრებს, თუ ახლობლებს, რადგანაც, როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, სწორედ ოჯახია ის მთავარი მამოძრავებელი, რამაც ქუჩაში გამოიყვანათ.

მზია, 42 წლის: „თავიდან მრცხვენოდა, კარგი და სიმპატიური ბიჭები მყავს, ხოდა არ მინდოდა თავი უხერხულად ეგრძნოთ მეგობრებთან, მაგრამ გამიგეს და მეხმარებოდნენ და გვერდში მედგენენ. იციან, რომ არც მე მინდა აქ დგომა...“

ლალი, 40 წლის: „თავიდან, სანამ ვაჭრობას დავიწყებდი, ჩემი დედამთილი მეუბნებოდა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, ჩემი შვილის ცოლი თუ ვაჭრობას დაიწყებდა, თან ასეო, მაგრამ გაჭირვებამ და შიმშილმა თავისი ქნა, მიხვდა, რომ სხვა გზა არ იყო“

შესაბამისად, რადგანაც რესპონდენტების უმრავლესობისთვის გარევაჭრობა არ ყოფილა არჩევანი, მათ არ ჰქონიათ ალტერნატივები და სოციალურმა რეალობამ განაპირობა მეტწილად მათი ქუჩებში გასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოჯახის წევრისთვის ეს საქმიანობა უსიამოვნო და არასასურველია, განსაკუთრებით იმ რეალობაში, როცა გარემოვაჭრე ქალებს მუდმივად უწევთ ან პოლიციასთან დაპირისპირება, გაქცევა ან შეურაცხყოფის ატანა.

ფატიმა, 30 წლის: „დედაჩემიც აქ ვაჭრობდა და მეც ვვაჭრობ, ეს ვიცი და მასწავლა. გამომდის კარგად. დამოკიდებულება რა, დედაჩემს ბებიაჩემმა ასწავლა, მე - დედაჩემმა და ვაგრძელებ ასე.“

გარევაჭრობა, როგორც სირცხვილი

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გარევაჭრობის, როგორც სირცხვილის ფენომენის გამოყოფა. იმის ფონზე, რომ დღეს ქართულ და მეინსტრიმულ დისკურსში ძალიან ხშირად გვხდება ფრაზა, რომ ადამიანების სიღარიბე მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობაა და რომ რესურსების სწორად და თავნმიმდევრულად გამოყენების შემთხვევაში, ყველა ადამიანს შეუძლია წარმატების მიღწევა.

როგორც მკვლევარი, თინა ყიფშიძე, თავის სტატიაში, უსახლკარობა - ინდივიდუალურ წარუმატებლობად შეფასებული სტრუქტურული პრობლემა“ აღნიშნავს, კაპიტალის გლობალიზაციამ, დეინდუსტრიალიზაციამ, შრომის ბაზრის ცვლილებამ, სერვის ეკონომიკაში არაპროპკავშირული დასაქმების ზრდამ, სოციალური დანახარჯების შემცირებამ და სხვა სოციო-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გასული სამი დეკადის განმავლობაში უთანასწორობა თითქმის ყველა პოსტინდუსტრიალურ სახელმწიფოში გაზარდა. ამის პარალელურად ის აღნიშნავს, რომ კვლევით ლიტერატურაში არსებობს ფართო კონსენსუსი იმის შესახებ, რომ სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების გავლენით, კეთილდღეობის ბენეფიტებისა და სოციალური საცხოვრისის შემცირების კვალდაკვალ გასული 30 წლის განმავლობაში უსახლკაროთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა (Snow, Andersen, 1993, Burt, 1997, Hopper, Susser and Conover, 1985). მიუხედავად ამისა, უსახლკარობის სტრუქტურული პრობლემა ინდივიდუალურ წარუმატებლობას ან სხვა პიროვნულ ფაქტორებს ბრალდება (ყიფშიძე, 2016).

ასეთივე წარმატებით ატარებენ ნეოლიბერალურ და „ინდივიდუალური წარმატების“ პოლიტიკას პოლიტიკური ელიტები ("გლეხს რომ სწავლა უყვარდეს, გლეხი არ იქნებოდა" (Newposts.ge 2017), რომლებიც სახელმწიფოს მიერ სოციალურ, ჯანდაცვის და სხვა სერვისების მიწოდებაზე უარის თქმით და ქვეყანაში არსებული მძიმე

სოციალური მდგომარეობის ფონზე, ამყარებენ თავიანთ მოსაზრებებს იმაზე, რომ ყველა ადამიანს შეუძლია იშრომოს და მიაღწიოს წარმატებას და რომ სიღარიბე, უსახლკარობა და ა.შ. თითოეული ადამიანის ინდივიდუალური პრობლემაა.

გარდა ამისა, რესპონდენტები გამოყოფენ იმასაც, რომ ქართული კულტურა ზოგადად არ არის მიმღებელი გარევაჭრობის ფენომენის მიმართ. ხშირად რცხვენიათ გარეთ დგომა და სამართალდამცავებთან მუდმივი ჭიდილი, თუმცა სოციალური ფონი მაინც გარდამტეხია მათთვის.

> *ნინო, 58 წლის: „გაჭირვება ყველაფერს გაკეთებინებს, თან ისეთს არაფერს ვაკეთებ, მთავრობა ჩვენზე არ ზრუნავს და რაღაც კაპიკებით მეხმარება, ჰოდა ხომ მინდა გადარჩენა? კი მრცხვენოდა ადრე, მარა მერე ვიფიქრე, რაა სასირცხვო? შრომობ, არავის ატყუებ და პირიქით, ეხმარები ხალხს, იაფად ყიდი საქონელს.“*

გარევაჭრობა და უცნობი ადამიანები

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომის მოქალაქეები, რომლებიც არ ვაჭრობენ და არ ყიდულობენ გარემოვაჭრეებისაგან სხვადასხვა ტიპის პროდუქტს, ნაკლებ სოლიდარულები არიან გარემოვაჭრეების მიმართ. რესპონდენტების თქმით, ერთი მხრივ, ისინი საუბრობენ ქალაქის იერსახესა და ანტისანიტარიაზე, რადგანაც გარეთ იყიდება საკვები პროდუქტები, მეორე მხრივ კი საუბრობენ იმაზე, რომ გარე მოვაჭრეები ხელს უშლიან ტურიზმის განვითარებას და გადაადგილებას ტროტუარებზე,

აღსანიშნავია, რომ, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები გარემოვაჭრეთა ანტისანიტარიაზე საუბრობენ, ავიწყდებათ ის, რომ სურსათის უვნებლობა საქართველოში საკმაოდ მწვავე პრობლემაა არამარტო გარევაჭრობის პირობებში, არამედ დიდ სუპერმარკეტებში, თუ ქსელებშიც (სტუდია მონიტორი, 2017).

> *ვალია, 75 წლის: "ხალხს არ მოვწონვართ, ერთმა ქალმა მითხრა, ქალაქში ჩამოსული სტუმარი ხედავს გარევაჭრობის გამო დაბინძურებულ და*

დამახინჯებულ ადგილებს და უნდა აგყარონო. გაათავისუფლონ ქალაქი და დაისვენოსო."

თუმცა, რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხალხს შეიძლება არ მოსწონდეთ ისინი, მაინც იციან, რომ ეს მათი არჩევანი არაა და რომ ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გამო აკეთებენ ამას. შესაბამისად, გარკვეულ სოლიდარობასაც გრძნობენ მათ მიმართ.

ნათია, 45 წლის: "ბევრი გამვლელისგან გამიგია, რას ჭვავს ქალაქი, რას დაამსგავსეთ თქვენო, მაგრამ ბევრი ადამიანი გვესარჩლება და ეუბნება იმათ, რომ ჩვენც ხალხი ვართ, სხვა გზა არ გვაქვს, შიმშილით ხომ არ დაიხოცებიანო?"

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარემოვაჭრეების გასაყიდი პროდუქრები ბევრად უფრო ხელისაწვდომია რიგითი მოქალაქეებისთვის, შესაბამისად, მათი ინტერესიცაა გარემოვაჭრეთა დატოვება ქუჩებში.

ციური, 47 წლის: „მე კორპუსებთან ვყიდი ბოსტნეულს და ხილს. ახლა ყველა მიცნობს და იცის, რომ არ ვატყუებ, ფასებიც კარგი მაქვს, ჰოდა ყველას ვუყვარვარ აქ მაგის გამო, რამდენიმე გოგოსთან დავახლოვდი კიდევ, ვინც დიასახლია და ხშირად ყიდულობს ჩემს პროდუქტებს.“

შესაბამისად, როგორც ლელა რეხვიაშვილი აღნიშნავს, ურთიერთობათა პერსონალიზაცია, ანუ, როცა ადამიანს თავად გაიცნობ და ყოველდღე ხვდები, ჩვენდაუნებურად წარმოიშობა სოლიდარობა, გიჭირს უკვე „ქალაქის გადარეცხვა მისგან“, რაც, ავტორის აზრით, საზოგადოებრივი ინტერესის დარღვევა კი არა, საზოგადოებრივი სიკეთეა. აქედან გამომდინარე, პერსონალური ურთიერთობების საშუალებით კაპიტალის ინტერესებს ვუპირისპირდებით. (რეხვიაშვილი, 2017)

გასაყიდი საქონელი

რაც შეეხება უშუალოდ გასაყიდ საქონელს, ის საკმაოდ ფართოა და თითქმის ყველა სახის პროდუქტს მოიცავს: ქალის თეთრეული, ხილ-ბოსტნეული, მეორეული

ტანსაცმელი, წიგნები, სანთლები, ხორცეული, რძის პროდუქტები, მზესუმზირა, სიგარეტი ღერებით, ბანანი, ლიმონი და ა.შ. თუმცა, რესპოდენტების უმრავლესობის გასაყიდი საქონელი 40-50 ლარს არ სცილდება და ხშირად, ბევრად უფრო ცოტაა. შესაბამისად, მოგება, რაც გარემოვაჭრეებს ვაჭრობით რჩებათ, დაახლოებით 10 ლარია, რა თანხადაც, ბაზარში მხოლოდ დახლის ფულის გადახდას შეძლებდნენ.

> *მარიამი, 35 წლის: "ქალის თეთრეულებს ვყიდი დინამოსთან. მარტოხელა დედა ვარ, 1 მცირეწლოვანი შვილი მყავს და დღეში 6 ლარს ვაკეთებ-ხოლმე და ახლა ეგეც შეზღურუდული მაქვს"*

არიან ისეთი მოვაჭრეებიც, რომლებიც მხოლოდ მზესუმზირას და სიგარეტს ყიდიან. ასეთი ადამიანებისთვის კი შეუძლებელია ბაზარში არსებობა, რადგანაც დახლის ფასიც კი არ აქვთ საქონელი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქონლის არჩევანი საკმაოდ ფართოა, თითოეულის ღირებულება ძალიან დაბალია და ხშირად, პოლიცია ამ საქონელსაც ართმევს ან მას საერთოდ ვერ ყიდიან მას.

> *ვალია, 75 წლის: "პენსია აღარაფერში მყოფნის. ფულს ძალა არ აქვს, წამლები ისეთი ძვირი ღირს, მარტო ამაში მეხარჯება ჩემი პენსია. დაგვცინეს, 10 ლარი მოგიმატეთო, იმაზე მეტი უკვე დაგვაკლდა. დილიდან აქ ვდგევარ, მაგრამ კლიენტი არ არის. არავინ ყიდულობს, ხალხს ფული არ აქვს. პოლიციამ ძალიან გაგვაწვალა. შიგნით ბაზარში გაყიდვა არ მიღირს. გუშინ ადგილზე 5 ლარი გადავიხადე, მაგრამ ვერაფერი გავყიდე და ის ფულიც დავკარგე."*

სავაჭრო პირობები

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სავაჭრო პირობები საკმაოდ მძიმეა, როგორც სიცხეში, ასევე სიცივეშიც, რადგანაც გარემოვაჭრე ქალთა უმრავლესობას ან ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ან უკვე ასაკოვანია, შესაბამისად, მათ უმრავლესობას ყოველდღიურად უჭირს გამოსვლა.

ვალია, 75 წლის: დიაბეტიანი ქალი ვარ, მარტოხელა, პენსია წამლებშიც არ მყოფნის, ვერ ყოველდღე დავდივარ ავადმყოფობის გამო, თან ხალხს ფულიც არ აქვს რომ იყიდოს რამე. აქ დგომაც თუ ამიკრძალეს, მაშინ მოვკვდები და დაისვენებს ყველა ჩემგან და ჩემნაერებისგან.“

გარდა ამისა, გარემოვაჭრეებს მუდმივად უპირისპირდებიან მაღაზიის მეპატრონეები, მაღაზიებში და ბაზრობებზე დასაქმებულები. ისინი თვლიან, რომ გარევაჭრობა ნებადართულია, რის გამოც ბაზარში და მაღაზიებში სავაჭროდ მოქალაქეები აღარ შედიან და პროდუქტებს ქუჩაში ყიდულობენ, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს მათ (ამბები.ge 2016).

ციური, 47 წლის: ვიცი, რომ ისინიც ცოდოები არიან, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ? რაღაც პატარა ბანანებს ვყიდი, ერთ ყუთს, მაგას ბაზარში როგორ გავყიდი? ჰოდა შიმშილით ხომ არ მოვკვდები, სულ არ მიხარია აქ დგომა და გაქცევა."

ნელი: 59 წლის: "ბაზარში რომ მთავაზობენ ადგილს, იქ ვიყავი და ჯერ 50 თეთრი იყო, მერე ლარი, მერე 2 ლარი და ემატებოდა ასე. ახლა 10 ლარია მგონი, ჰოდა მე თუ ვინმე დღეში 10 ლარს მომიტანს, მე აქ არ გამოვალ."

თუმცა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი დაბრკოლება მოვაჭრეებისთვის არის თავად სახელმწიფო და მისი პოლიციური პოლიტიკა. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფომ იზრუნოს გარემოვაჭრეებზე, რომელთათვისაც ეს საქმიანობა გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, პირიქით, რეპრესიულ პოლიტიკას აწარმოებს და მათ განდევნას ცდილობს საჯარო სივრცეებიდან.

ნინო, 58 წლის: "მოდიან იცით როგორ? ჟარგონებით მოდიან... ეი, შენ იცი, აახვიე ახლა აქედან. მერე ქალაქის მერიაში დავრეკე და ყველამ ისე აგდებით და აგრესიულად მელაპარაკა... ცოტა კორექტულად მელაპარაკე, ცოტა ზრდილობიანად მელაპარაკე."

ნანა, 36 წლის: "ზაფხულში 20 ლარით დამაჯარიმეს. პოლიცია მოულოდნელად დამადგა თავს. სამი კილო ყველი და რძე მქონდა, ისიც წამართვეს. რა თქმა უნდა, ჯარიმა გადავიხადე. მას შემდეგ, გაფაციცებით ვიცქირები აქეთ-იქით. როცა

კლიენტს ემსახურები, ამ დროს შეიძლება მანქანიდან გითვალთვალებდნენ ან ზურგიდან მოგეპარონ და დაგაჯარიმონ."

განსაკუთრებით საგულისხმოა პოლიციის დაშინებები და რეპრესიები, რომელიც ისედაც მძიმე სამუშაო პირობებს, კიდევ უფრო მძიმეს ხდის, რადგანაც ფსიქოლოგიური წნეხი ძალიან მაღალია. ამ ადამიანების ყოველი სამუშაო დღე არის მძიმე, რასაც ემატება გამოწერილი ჯარიმები, თუ გადაყრილი საქონელი, თუმცა სოციალური ფონი იმდენად მძიმეა, რომ ღირსების შელახვის ფასადაც კი, ეს ადამიანები მზად არიან დაუპირისპირდნენ რეპრესიულ პოლიტიკას.

ნათია, 45 წლის: "ჩვენ საქონელს კარტოფილს, მწვანილებს და ა.შ პარკებით და ვედროებით ვყიდით. ასე მოსახერხებელია უფრო. პოლიციის გამოჩენისთანავე პარკს ხელს წავავლებთ და გავრბივართ. ხშირია შემთხვევა, როცა პოლიციას დავუჭერივართ, გასაყიდი პროდუქტი ძირს დაუყრია ან წაურთმევია. გამწარებული გვაქვს ცხოვრება. შიშით ვყიდით, ვინ საიდან, როდის გამოჩნდება და თავს დაგვაცხრება, არ ვიცით. რამდენიმე ხნის წინ ჩვენს გვერდით მოვაჭრე ბიჭი დააჯარიმეს, მაგრამ ჯარიმა - 20 ლარი არ გადაიხადა. ალბათ, იფიქრა, მაპატიებენო. ჯარიმის თანხა კი გაიზარდა და ბოლოს სოფელში სახლი დაუყადაღეს. 600 ლარის გულისთვის ადამიანს სახლს ართმევ?"

თინა, 68 წლის: "ვინ უნდა დამაჯარიმოს, ბინა რომ წამართვეს ეგ ჯარიმაც არ მეყოფა? მე მემეთხოვება პასუხი და მაგენს არ მეეთხოვება?"

სახელმწიფო, რომელიც გარემოვაჭრე ქალებს არ სთავაზობს არანაირ სოციალურ გარანტიას თუ სერვისს, კი არ ეხმარება, პირიქით, ხელს უშლის მათ, რომ საკვების ფული მაინც იშოვონ და შეძლონ არსებობა.

ციური, 47 წლის: "ჩვენ თუ არ ვაწუხებთ მთავრობას და ვირჩენთ თავს, იმის საშუალება მაინც მოგვცენ, რომ წვიმაში გარეთ ვიდგეთ და 10 ლარი გავაკეთოთ."

თუმცა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მკვლევარ ლელა რეხვიაშვილის თვალსაზრისი, როცა ის ურთიერთობის პერსონალიზაცია საუბრობს. მისი თქმით, პოლიცია, რომელსაც გარემოვაჭრის განდევნა ევალება, ერთხელ და ორჯერ უხეშად მოეპყრობა

მოვაჭრეს, მაგრამ მესამე ჯერზე უკვე იცნობს მას. რამდენიმე თვეში ისიც კი იცის, რომელ მოვაჭრეს უწევს უფრო ხშირად წნევა, რომელს შეუძლია მის გამოჩენაზე გაქცევა, რომელს სტკივა ფეხი და ვის ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი. რაც არ უნდა ცვალო და გადააადგილო პოლიციელი, სულ ცოტა ხანში მაინც დაიწყება მასა და მოვაჭრეს შორის ურთიერთობის პერსონალიზაცია და შეუძლებელი გახდება პოლიციელისთვის მოვაჭრის შევიწროება.მისი თქმით, სოლიდარობის რესურსიც სწორედ აქ არის - კერძო სოლიდარობის დაფასებასა და მათი ზოგადსაზოგადოებრივი მნიშვნელობის დანახვაში. ლელას აზრით, უთანასწორო ქართული საზოგადოება ამ ყოველდღიური სოლიდარობის ხარჯზე ახერხებს სოციალურ რეპროდუქციას. (რეხვიაშვილი 2017).

დაკვირვებების დროს, დავაფიქსირე ის, რომ ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ზოგ შემთხვევაში ეხმარებოდნენ გარემოვაჭრეებს და აძლევდნენ ვაჭრობის შევიწროვებულად გაგრძელების საშუალებას.

> *ლალი, 40 წლის: „ცოდვას ვერ ვიტყვი, აქ რომ ბიჭია, გვაძლევდა დადგომის საშუალებას, იცის რა დღეში ვართ და ჩვენც ვიცით, რომ იმასაც ჰყავს ხელმძღვანელები და ვუწყობთ ერთმანეთს ხელს.“*

ასევე მნიშვნელოვანია უშუალოდ პოლიტიკური ელიტების რიტორიკა, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ „ქალაქში წესრიგი დამყარდეს და ქალაქის იერსახე დაიბრუნოს“, ამაზე მუდმივად საუბრობს თბილისის მერი, კახა კალაძე (პირველი არხი, 2018) და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლები (ipress, 2017).

§ 3.3 რეკომენდაციები

იმის გათვალისწინებით, რომ ფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოება და ღირსეული შრომის საკითხები დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, კატასტროფულად მაღალია საწარმოო შემთხვევებისას დაღუპული და დაშავებული ადამიანების სტატისტიკა, 2007-2016 წლებში საქართველოს პროფესიული კავშირების

გაერთიანებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით საწარმოო ტრავმებისგან 414 ადამიანი დაიღუპა და 716 მძიმედ დაშავდა (კაკაშვილი, 2018). ამის ფონზე კი რთული და შეუძლებელიც კია არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების შრომით მდგომარეობაზე, უსაფრთხო თუ ღირსეულ შრომაზე მსჯელობა. ამასთან ერთად, მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს ისიც, რომ არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ იმ მინიმალურ სოციალურ გარანტიებზე, რითაც შესაძლოა კონტრაქტით დასაქმებული მშრომელები სარგებლობდნენ (შვებულებით სარგებლობის უფლება, დეკრეტული შვებულებისას სახელმწიფო ანაზღაურების მიღება, შედარებით დაბალპროცენტიანი სესხებით სარგებლობა და ა.შ.). ისინი ვერც პროფკავშირების მხარდაჭერით სარგებლობენ. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, სახელმწიფო კვლავ აგრძელებს ხისტ და ერთგვაროვან პოლიტიკას, რის ფარგლებშიც ხდება გარევაჭრობის აკრძალვა სხვადასხვა არგუმენტით (იქნება ეს ანტისანიტარიის მაღალი დონე თუ ქალაქის იერსახის დამახინჯება), სადაც იგნორირებას უკეთებენ გარემოვაჭრეების სოციალური პრობლემებს და რომელიც ზუსტად იმეორებს ნეოლიბერალური პოლიტიკის ლოგიკას და მათ გაძევებას საჯარო სივრცეებიდან ისე, თითქოს ისინი არ არსებობდნენ.

ამის ფონზე კი, რთულია გამოყო საჭიროებები და პრობლემის მოგვარების გზები, რადგანაც ის ძალიან მრავალშრიანი და სისტემურია.

- იმ მძიმე სამუშაო პირობებშიც კი, სადაც გარემოვაჭრე ქალებს უწევთ მუშაობა, ისინი ითხოვენ ერთადერთ რამეს, რომ არ წაართვან საარსებო წყარო;
- ისინი საუბრობენ იმაზეც, რომ აუცილებელია ეს პრობლემა მოგვარდეს და მოწესრიგდეს და მიეცეს სტრუქტურულია სახე, „როგორც ევროპაშია“ და არა მათი „გადარეცხვით და საჯარო სივრციდან გარიყვით“;
- მძიმე სოციალური მდგომაროების ფონზე, სახელმწიფო არათუ ეხმარება, არამედ, პირიქით, ხელს უშლის თავის მოქალაქეს, რომ თავად იზრუნოს საკუთარ თავზე. შესაბამისად, ისინი ითხოვენ, რომ სახელმწიფომ არ დააშინოს და ხელი მაინც არ შეუშალოს მათ;

- ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბანკების პოლიტიკა, რომელიც აღატაკებს ისედაც ღარიბ მოსახლეობას და ართმევს უკანასკნელ ბინასაც კი. შესაბამისად, არსებობს საჭიროება იმისა, რომ სახელმწიფომ გარკვეულწილად დაარეგულიროს საბანკო პოლიტიკა;
- ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარემოვაჭრე ქალები გარდა საჯარო სივრცისა, სახლშიც შრომობენ, ცუდი პირობების ფონზე კი მათი შრომა ერთი ორად იზრდება: მათ უწევთ ხელით გარეცხვა, სახლებში ხშირად წყალი ჩამოდის, აქვთ დასალევი წლის პრობლემა და ა.შ. ამიტომაც არსებობს მინიმალური პირობების შექმნის აუცილებლობა;
- გარემოვაჭრე ქალების უმრავლესობა ან მარტოხელა დედაა, ან მარტოხელა მოხუცი ან ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, რომელზეც გადადის მთელი პასუხისმგებლობა, რადგანაც კაცები ნაკლებად გადიან და ვაჭრობენ ქუჩებში, რადგანაც „ეს მათი საქმე არაა“ ძირითად შემთხვევებში;
- გარემოვაჭრე ქალები საუბრობენ იმაზეც, რომ აუცილებელია, რომ ხალხი, ვინც მათთან ყიდულობენ საქონელს, ან უბრალო გამვლელები, უფრო მეტად სოლიდარულები იყვნენ მათ მიმართ;
- დაბოლოს, არსებობს თავად გარემოვაჭრეების გაერთიანების საჭიროება. როგორც კაბირი აღნიშნავს, გარემოვაჭრეები და არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ადამიანების გეოგრაფიული გაფანტულობა, სოციალური იზოლაცია და არარეგულარული პირობები მათ გაერთიანებას და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას უშლის ხელს, რასაც ხელს უწყობს სახელმწიფოც (2017 წლის აპრილში მერიის სამსახურებმა სხვადასხვა „აყარეს“ გარემოვაჭრეები სხვადასხვა ლოკაციაზე, რამაც ხელი შეუშალა მათ გაერთიანებასა და ორგანიზებას, ისინი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას მართავდნენ აქციებს და ხშირად ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ). შესაბამისად, კაბირი (Kabeer et al. 2013, 13-14). გვთავაზობს არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული მშრომელების გაერთიანებისთვის ინსპირაციასა და გაკვეთილებს მათთვის, ვისაც სურს დაუპირისპირდეს რედისტრიბუციის, აღიარებისა და რეპრეზენტაციის უსამართლობას. მეინსტრიმული პროფესიული კავშირების უუნარობა, რომ

წარმოადგენდეს ამ მშრომელების ინტერესებს, არ არის მხოლოდ იმის რეფლექსია, რომ ლიდერების ან წევრების უდიდესი ნაწილი კაცია, არამედ იმ ნაწილშიც, სადაც პატრიარქალური ინტერესების გავლენას ახდენენ მათს ევოლუციას და ფორმირებას უკეთებენ მათს ორგანიზაციასა და სტრატეგიას. შესაბამისად, ავტორი გამოყოფს სამ ძირითად მახასიათებელს გაკვეთილს ამ საკითხთან დაკავშირებით.

- პირველი კრიტიკული გაკვეთილი, რომელიც ანალიზის დროს იკვეთება არის იმის აუცილებლობა, რომ დაიწყო ლოკალურით, ქვემოდან წამოსული პრობლემებით. პროფესიული კავშირები მსოფლიოს გარშემო, ისწრაფვოდნენ, რომ ყოფილიყვნენ მშრომელების წარმომადგენლები საერთო სტრატეგიის დასახვის წყალობით, რაც დაკავშირებული იყო ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან. მშრომელი ქალების ორგანიზებამ უნდა მოიცავს, როგორც რედისტრიბუციის, ასევე აღიარების პოლიტიკა. ამ მშრომელების პერსპექტივიდან გამომდინარე, რედისტრიბუციის პოლიტიკა ემთხვევა სტანდარტული პროფესიული კავშირების პრობლემებს, რაც დაკავშირებული ხელფასებთან, სამუშაო პირობებთან და სოციალურ უზრუნველყოფასთან.
- მეორე მხრივ კი, აღიარების პოლიტიკა უფრო ფართო საკითხებს სვამს, ვიდრე პროფესიული კავშირები. უმრავლესობა მარგინალური მშრომელების შეშფოთება დაკავშირებული არამარტო ღირსებასთან, არამედ ყოველდღიურ საზრდოსთან. ქალი მუშებისთვის წუხილი დაკავშირებულია მათ კონკრეტულ სიტუაციასთან და სტატუსთან, კონსტექსტთან, სადაც ისინი ცხოვრობენ და ინსტიტუციებთან და პრაქტიკებთან, რასაც ისინი უნდა ებრძოლონ ყოველდღიურ პრაქტიკაში. რადგანაც არსებობს ერთი ადგილის მეორესთან შესამჩნევი განსხვავება, განსაკუთრებით, გენდერული უთანასწორობების სტრუქტურებთან, ორგანიზების პროცესთან, ჯგუფების განვითარებასთან და სტრატეგიებს გამოყენებასთან, პრიორიტეტებთან დაკავშირებით, რასაც აქვს მკაცრად ლოკალური პარამეტრები და საუკეთესოდ გაიგება ლოკალური

კონტექსტიდან გამომდინარე. შესაბამისად, არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ქალების ხმათა რეპრეზენტაციას აქვს გეოგრაფიული ფოკუსი და ვითარდება შიგნით, ლოკალურად.

მეორე მხრივ კი, სურვილი, რომ მგრძნობიარე იყო ლოკალური კონტექსტის მიმართ და არ მოქმედებდე წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის მიხედვით, ნიშნავს, რომ ორგანიზაციის პროცესი უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე უფრო სამუშაოს უფრო სტანდარტირებულ ფორმაში. როგორც ჩვენ დავინახეთ, არაფორმალურ ეკონომიკაში, სხვადასხვა ელემენტი რთულად მისაწვდომი ქალების ორგანიზების პროცესში, რაც არარელევანტურია ამ სტრანდარტულ ფორმაში. დროა საჭირო იმისთვის, რომ ააშენო ამ ქალების სამუშაოს სოციალური და თვით-აღიარებადი ღირებულება, რათა მათი ორგანზიება განახორციელო და მოიპოვო მათი ლოალობა საერთო იდენტობებისა და ინტერესების ასაგებად ეკონომიკაში მათი სხვადასხვა ადგილისა და სოციალური იერარქიის ფონზე.

- მესამე გაკვეთილის მიხედვით კი, სტრატეგიები ვითარდება და იცვლება დროთა განმავლობაში. "გრძელვადიანი უკუკავშირის ციკლი", რომელიც გულისხმობს ძალისხმევას, მიემართებოდეს ქალთა მდგომარეობის ყველაზე სტრატეგიულ ასპექტებს, ნიშნავს, რომ მათ, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ თავდაპირველ ეტაპზე, ქალები გააერთიანოს. თუმცა, რადგანაც ქალები ერთიანდებიან ყოველდღიური ცხოვრების უფრო პრაქტიკული წუხილების გამო, ისინი უფრო ნაკლებად ინტერესდებიან პოლიტიკური საკითხებით. შესაბამისად, შესაძლებელია თავდაპირველი სტრატეგიები არის შედარებით სუსტი და ნაკლებად კონფრონტაციული. თუმცა, დროთა განმავლობაში, როცა ჯგუფი გახდება უფრო თავდაჯერებული და დაჟინებული, ჩვენ დავინახავთ დიდ სურვილს, რომ ქალები ჩაერთონ ღია კონფლიქტში, გამოიყენონ სამართლებრივი ქმედებები ძალაუფლებაში მყოფი ადამიანების წინააღმდეგ, ვინც არღვევს მათ უფლებებს, გამოიყენონ მათი ორგანიზების

გავლენა პოლიტიკური ზეგავლენისთვის და პოლიტიკური პროცესების დროს და უწოდონ თავიანთ თავს მოქალაქეები.

დასკვნა

შეჯამების სახით რომ ითქვას, გარემოვაჭრე ქალების უმრავლესობა, 50-60 წლისები არიან, რომელთაც ჰყავთ ოჯახი და უწევთ მისი უზრუნველყოფა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მარტოხელა დედების როლი, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავთ შვილები და უწევთ მათზე ზრუნვა, იძულებულები არიან გამოვიდნენ და ივაჭრონ მძიმე პირობებში. ხანშიშესულ მოვაჭრეთა უმრავლესობა კი თავად საჭიროებს დახმარებას, თუმცა იძულებულენი არიან, რომ გამოვიდნენ და თავად არჩინონ ოჯახი, რადგანაც ისინი ერთადერთები არიან, ვისაც ამ საქმის გაკეთება შეუძლიათ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ, ჩინოვნიკებმა, როგორც წინა, ასევე ახალი ხელისუფლების პირობებში, კარგად იციან ის მძიმე სოციალური მდგომარეობა, რაშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა მაინც აგრძელებენ ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებას და მათ საჯარო სივრცეებიდან გაძევებას, რასაც ემატება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და წარუმატებლობაზე მუდმივი პროპაგანდა.

ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უშუალოდ საბანკო პოლიტიკა, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველა რესპონდენტი გამოჰყოფს. თითოეულ მათგანს, სოციალური მდგომარეობის გამო, უწევს სესხის აღება, რომელსაც წარმოუდგენლად მაღალი პროცენტი ერიცხება. შედეგად, ლარის დევალვაციის მიუხედავად, კომერციული ბანკები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო გარემოვაჭრეები ბინის გარეშე რჩებიან.

რაც შეეხება რესპონდენტთა გატაცებასა და ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს, ფაქტობრივად, მათთვის არ არსებობს პირადი ბედნიერება, მათი ცხოვრება მუდმივი გადარჩენის პროცესია, სადაც თავიანთი თავი არ ახსოვთ, შესაბამისად, მათთვის ყველა

მნიშვნელოვანი მომენტი საყვარელი ადამიანის ბედნიერებასთან, მათთვის სარჩოს მიტანასთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შვილები და შვილიშვილები, რომელთა კეთილდღეობა მათთვის მთავარი მამოძრავებელია. თუმცა, ესენი არიან ქალები, რომლებსაც არ გააჩნიათ პირადი ბედნიერება, არ შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა სიკეთით და იზრუნონ თავიანთ თავზე.

რაც შეეხება საშინაო შრომას, გარემოვაჭრეების მთავარი მამოძრავებელი არის გადარჩენა და ოჯახში საჭმლის მიტანა, შესაბამისად, მათი შინ შესრულებული სამუშაო კიდევ უფრო ნაკლებად ხილულია. მიუხედავად იმისა, რომ გარემოვაჭრეები მუშაობენ და ხშირად, ძირითადი შემომტანები ოჯახში სწორედ ისინი არიან, საშინაო შრომა მათთვის მაინც გენდერულად სეგრეგირებულია და ქალის მოვალეობად მიიჩნევა. შესაბამისად, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალების შრომას, ერთი მხრივ, არ აღიარებს სახელმწიფო და მეორე მხრივ, პატრიარქალური წესრიგი. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში შემომტანები არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ქალები არიან, ისინი მაინც სუბროდინირებულ დამოკიდებულებაში არიან ქმრებთან, მამამთილებთან, მამებთან, თუ ძმებთან.

ხოლო რაც შეეხება უშუალოდ არაფორმალურ სექტორში დასაქმების მიზეზებს, ეკონომიკური ტრანზაციის შემდეგ დაბალშემოსავლიანი და არაფორმალური სამუშაო ადგილები, რომლებიც არ უზრუნველყოფდა არანაირ სოციალურ უსაფრთხოებას და გარანტიებს, ერთი მხრივ, დაიკავეს ერთ დროს ფორმალურ სფეროში დასაქმებულებმა, რომლებმაც დაკარგეს ძველი სამუშაოები და ვერ აღმოჩნდნენ მზად შეეთვისებინათ გადარჩენისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. მეორე მხრივ კი ადამიანებმა, რომლებიც ან სქესის გამო ვერ მიიღეს სათანადო განათლება, რადგანაც მალე შექმნეს ოჯახი, ან/და სოციალური მდგომარეობის გამო, რადგანაც არ ჰქონდათ საშუალება და რესურსი განათლების მისაღებად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია 90-იანების ომი, სადაც იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ახალ გარემოში, ვერ შეძლეს თავის დამკვიდრება და სოციალური მდგომარეობის გამო, ბევრი პირი გარევაჭრობით ირჩენს თავს.

რესპონდენტების უმრავლესობისთვის გარევაჭრობა არ ყოფილა არჩევანი, მათ არ ჰქონიათ ალტერნატივები და სოციალურმა რეალობამ განაპირობა მეტწილად მათი ქუჩებში გასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოჯახის წევრისთვის ეს საქმიანობა უსიამოვნო და არასასურველია, განსაკუთრებით იმ რეალობაში, როცა გარემოვაჭრე ქალებს მუდმივად უწევთ ან პოლიციასთან დაპირისპირება, გაქცევა ან შეურაცხყოფის ატანა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გარევაჭრობის, როგორც სირცხვილის ფენომენის გამოყოფა. იმის ფონზე, რომ დღეს ქართულ და მეინსტრიმულ დისკურსში ძალიან ხშირად გვხდება ფრაზა, რომ ადამიანების სიღარიბე მათი ინდივიდუალური პასუხისმგებლობაა და რომ რესურსების სწორად და თანმიმდევრულად გამოყენების შემთხვევაში, ყველა ადამიანს შეუძლია წარმატების მიღწევა. პოლიტიკური ელიტები მუდმივად მანიპულირებენ იმით, რომ ყველა ადამიანს შეუძლია იშრომოს და მიაღწიოს წარმატებას და რომ სიღარიბე, უსახლკარობა და ა.შ. თითოეული ადამიანის ინდივიდუალური პრობლემაა.

გარდა ამისა, რესპონდენტები გამოყოფენ იმასაც, რომ ქართული კულტურა ზოგადად არ არის მიმღებელი გარევაჭრობის ფენომენის მიმართ. ხშირად რცხვენიათ გარეთ დგომა და სამართალდამცავებთან მუდმივი ჭიდილი, თუმცა სოციალური ფონი მაინც გარდამტეხია მათთვის.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომის მოქალაქეები, რომლებიც არ ვაჭრობენ და არ ყიდულობენ გარემოვაჭრეებისაგან სხვადასხვა ტიპის პროდუქტს, ნაკლებ სოლიდარულები არიან გარემოვაჭრეების მიმართ. რესპონდენტების თქმით, ერთი მხრივ, ისინი საუბრობენ ქალაქის იერსახესა და ანტისანიტარიაზე, რადგანაც გარეთ იყიდება საკვები პროდუქტები, მეორე მხრივ კი საუბრობენ იმაზე, რომ გარე მოვაჭრეები ხელს უშლიან ტურიზმის განვითარებას.

თუმცა, რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ იმასაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხალხს შეიძლება არ მოსწონდეთ ისინი, მაინც იციან, რომ ეს მათი არჩევანი არაა და რომ ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გამო აკეთებენ ამას. შესაბამისად, გარკვეულ სოლიდარობასაც გრძნობენ მათ მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ

გარემოვაჭრეების გასაყიდი პროდუქრები ბევრად უფრო ხელისაწვდომია რიგითი მოქალაქეებისთვის, შესაბამისად, მათი ინტერესიცაა გარემოვაჭრეთა დატოვება ქუჩებში.

რაც შეეხება უშუალოდ გასაყიდ საქონელს, ის საკმაოდ ფართოა და თითქმის ყველა სახის პროდუქტს მოიცავს: ქალის თეთრეული, ხილ-ბოსტნეული, მეორეული ტანსაცმელი, წიგნები, სანთლები, ხორცეული, რძის პროდუქტები, მზესუმზირა, სიგარეტი ღერებით, ბანანი, ლიმონი და ა.შ. თუმცა, რესპოდენტების უმრავლესობის გასაყიდი საქონელი 40-50 ლარს არ სცილდება და ხშირად, ბევრად უფრო ცოტაა. შესაბამისად, მოგება, რაც გარემოვაჭრეებს ვაჭრობით რჩებათ, დაახლოებით 10 ლარია, რა თანხადაც, ბაზარში მხოლოდ დახლის ფულის გადახდას შეძლებდნენ.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ორგანიზება და სოლიდარობა. გარემოვაჭრეებს მუდმივად უპირისპირდებიან მაღაზიის მეპატრონეები, მაღაზიებში და ბაზრობებზე დასაქმებულები. ისინი თვლიან, რომ გარევაჭრობა ნებადართულია, რის გამოც ბაზარში და მაღაზიებში სავაჭროდ მოქალაქეები აღარ შედიან და პროდუქტებს ქუჩაში ყიდულობენ, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს მათ.

დაკვირვებების დროს, დაფიქსირდა ასევე ისიც, რომ ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ზოგ შემთხვევაში ეხმარებოდნენ გარემოვაჭრეებს და აძლევდნენ ვაჭრობის შევიწროვებულად გაგრძელების საშუალებას, რადგანაც მათთან ჩამოუყალიბდათ ახლო და მეგობრული ურთიერთობა.

საბოლოოდ, ასევე არსებობს სოლიდარობის პრობლემა უშუალოდ გარემოვაჭრე ქალებს შორის, რადგანაც არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართული ადამიანების გეოგრაფიული გაფანტულობა, სოციალური იზოლაცია და არარეგულარული პირობები მათ გაერთიანებას და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას უშლის ხელს, რასაც ხელს უწყობს სახელმწიფოც (2017 წლის აპრილში მერიის სამსახურებმა სხვადასხვა „აყარეს“ გარემოვაჭრეები სხვადასხვა ლოკაციაზე, რამაც ხელი შეუშალა მათ გაერთიანებასა და ორგანიზებას, ისინი სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას მართავდნენ აქციებს და ხშირად ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ).

გამოყენებული ლიტერატურა

1) ამბები.ge. 2016. "ხმაური და დაპირისპირება გარევაჭრობის აკრძალვის აქციაზე და დაკავებული გარემოვაჭრეები". https://www.ambebi.ge/article/161758-xmauri-da-dapirispireba-garevachrobis-akrzalvis-akciaze-da-dakavebuli-garemovachreebi/
2) ბარქაია, მაია. 2016. "ფემინისტური მეთოდოლოგია - Feminist Methodology". სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. http://dictionary.css.ge/content/feminist-methodology
3) ბრეგვაძე, გიგა. 2015. "უსახლკარობის პოლიტიკა". EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. https://emc.org.ge/ka/products/usakhlkarobis-politika
4) გუნია, ანა. 2016. "ზეპირი ისტორიები - Oral History". სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. http://dictionary.css.ge/content/oral-history
5) ვარადაშვილი, მაკა. 2015. "ეკონომიკისთვის ყველაზე რთული წელი ბანკებისთვის წარმატებული აღმოჩნდა". ბანკები და ფინანსები. http://bfm.ge/ekonomikistvis-yvelaze-rtuli-weli-bankebistvis-warmatebuli-aghmochnda/
6) კაკაშვილი, ნიკა. 2018. "28 აპრილი – სამუშაო ადგილებზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა დღე". თბილისი: საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება. http://gtuc.ge/28-%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96/

7) ლიბერალი. 2018. "გიგის ისტორია და ბავშვთა უფლებები". http://liberali.ge/news/view/35507/gigis-istoria-da-bavshvta-uflebebi
8) მანაგაძე, თეონა. 2018. "თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო გარევაჭრობისთვის ჯარიმები იზრდება". თბილისი: პირველ არხი. https://1tv.ge/news/tbilisis-teritoriaze-shesabamisi-nebartvis-gareshe-gare-vachrobistvis-jarimebi-izrdeba/
9) "ჰური". 2017. სტუდია მონიტორი. თბილისი. https://www.youtube.com/watch?v=eRvoNm9ADg
10) რეხვიაშვილი, ლელა. 2017. "გარემოვაჭრეები და კაპიტალისტური წესრიგი". EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. https://emc.org.ge/ka/products/garemovachreebi-da-kapitalisturi-tsesrigi
11) ქებურია, თამარ. 2017. "რატომ გაჰყავთ გარემოვაჭრეები საჯარო სივრციდან? სიმპტომების და რისკების შესახებ." EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. https://emc.org.ge/ka/products/ratom-gahqavt-garemovachreebi-sajaro-sivrtsidan-simptomebis-da-riskebis-shesakheb
12) ქებურია, თამარ. 2016. „ძალადობის პრაქტიკები - გარე ძალადობის შეღწევის პრაქტიკა პრივატულ სივრცეებში. სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
13) ქეთელაური, ნინი. 2017. "გარემოვაჭრეები მეტრო "ახმეტელიდან" აყარეს, ისინი აქციებით იმუქრებიან" http://resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=35284
14) ყიფშიძე, თინა, 2016. "უსახლკარობა - ინდივიდუალურ წარუმატებლობად შეფასებული სტრუქტურული პრობლემა". EMC - ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. https://emc.org.ge/ka/products/usakhlkaroba-individualur-tsarumateblobad-shefasebuli-strukturuli-problema
15) Agarwala, R. 2006. From Work to Welfare: A new Class Movement in India, Contemporary Asian Studies, 38. 4. pp 419-441.
16) Bhatt, Ela R. 2006 We are Poor but so many: The story of Self-Employed Women of India, New Delhi: Oxford University Press

17) Bhatt, Ela, and Renana Jhabvala. 2004. "The idea of work." Economic and Political Weekly: 5133-5140.

18) Cox, R. 1977. Labor and Hegemony. International Labour Organisation. University of Wisconsin Press.

19) Federici, Silvia. 1975. "Wages against housework". მთარგმნელი სალომე ლაცაბიძე. New York: Power of Women Collective and Falling Wall Press. https://emc.org.ge/ka/products/anazghaureba-sashinao-shromistvis

20) Federici, Silvia. 2012. "The unfinished feminist revolution." The Commoner 15: 185-197.

21) International Labour Office. 2014. “ILO: Transitioning from the informal to the formal economy, Report V(1)”. Paper presented at the International Labour Conference, 103rd Session, Geneva, 2014.

22) Ipress.ge. 2017. "თბილისის მერია: გარემოვაჭრეებს უნებართვო საქმიანობის განხორციელების უფლება აღარ მიეცემათ". http://www.ipress.ge/new/64916-meria-unebartvo-garevachrobis-tsinaaghmdeg-shesabamisi-ghonisdziebebis-gankhorcielebas-itsyebs

23) Jhabvala, R. 2010. A critical assessment of development trajectories; A SEWA Perspective, Presentation at the Workshop on Developmental Trajectories: India and South Africa. School of Management and Labour Studies, Tata Institute of Social Sciences, Mumbai.

24) Kabeer, Naila, Ratna Sudarshan, and Kirsty Milward, eds. 2013. Organizing women workers in the informal economy: beyond the weapons of the weak. Zed Books Ltd;

25) Newposts.ge. 2017. ""გლეხს რომ სწავლა უყვარდეს, გლეხი არ იქნებოდა" - დავით ჭიჭინაძე". http://www.newposts.ge/?l=G&id=162656-%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%AD%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94,%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1

26) Prügl, E. 1998. Feminist struggle as a Social Construction: Changing the Gendered rules of Home-Based Work, in International Relations in a Constructed World , Vendulka Kubalkkova, Nicholas Onuf, Paul Kowert (editors) M.E.Sharpe: Armonk, New York.

27) Prügl, E. 1999. What is a worker? Gender, Global Restructuring, and the ILO Convention on Homework, in Gender Politics and Global Governance , Mary K.Meyer and Elizabeth Prgl (editors). Lanham, Maryland: Rowman & Littlefield Publishers, Inc;

28) Webster, Edward. 2011. "Work and Economic Security in the 21st century: What can we learn from Ela Bhatt?." young 6: 3.

დანართი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Natia Karchiladze

Gender Aspects of Informal Economy: Example of women street traders living in Tbilisi

MA in Sociology

A thesis submitted for the Degree of Master in Sociology

Scientific Supervisors:

Iago Kachkachishvili, Full Professor;

Maia Barkaia, Doctor.

Tbilisi, 2018

დანართი #2

ინტერვიუს გზამკვლევი

ზოგადი ინფორმაცია მის შესახებ:

- თქვენი სახელი, ასაკი;
- სად ცხოვრობთ (ზოგადი ინფორმაცია), წარმოშობა, სად გინდათ ცხოვრება და რატომ;
- სად დაიბადეთ, თქვენი პროფესია, ან ხელობა;
- ოჯახური მდგომარეობა (ქმარი, შვილები) - ასაკი, რაოდენობა ან ზოგადი ინფორმაცია მათ შესახებ;
- გატაცებები;
- რისი გაკეთება გიყვართ და ყველაფერი, რის თქმასაც ჩემთვის ისურვებდით;
- მომიყევით თქვენ მნიშვნელოვან მომენტზე, ცვლილებაზე, ან გამოცდილებაზე თქვენ ცხოვრებაში;
- პრობლემები, რომელთა წინაშეც ცხოვრების ამ ეტაპზე ხართ, ან იყავით.

საშინაო შრომა

- მომიყევით თქვენი ოჯახის შესახებ;
- მათი შემადგენლობა და ზოგადი ინფორმაცია მათზე;
- შემომტანი და ფულის განმკარგავი;
- როლთა გადანაწილება ოჯახში;
- სახლის სამუშაოს გადანაწილება (ვინ ასრულებს, როგორია მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სამსახურიდან ბრუნდებით?);
- გეხმარებათ თუ არა ოჯახის რომელი წევრი;
- თქვენი მოვალეობები სახლში.

დასაქმება არაფორმალურ სექტორში

- რას საქმიანობდით მანამ, სანამ გარევაჭრობას დაიწყებდით? მოგწონდათ?
- რა იყო ის ძირითადი მიზეზები, რამაც გადაგაწყვეტინათ/გაიძულადთ გარევაჭრობა?
- როგორ მიიღეს თქვენი გადაწყვეტილება ოჯახმა, ახლობლებმა და ა.შ?
- ქართული კულტურიდან გამომდინარე, ხომ არ გქონიათ სირცხვილის გრძნობა? ხომ არ გინანიათ თქვენი გადაწყვტილება?

- უცნობი ხალხის დამოკიდებულება თქვენ მიმართ ყოველდღიურ საქმიანობაში?
- რითი ვაჭრობთ ან რა არის თქვენი სავაჭრო საქონელი?
- თქვენ სავაჭრო გარემოზე რომ მითხრათ: რა პრობლემების წინაშე დგახართ, ან რა მთავარ დაბრკოლებებს გამოყოფდით მუშაობის პროცესში? (შესავალი, რომ ვიცი იმის შესახებ, რომ 2017 წლის აპრილში აყარეს);
- ხელისუფლების, პოლიციის დამოკიდებულება?
- თქვენი, როგორც გარემოვაჭრის, საჭიროებები ან სურვილები რა არის ამ ეტაპზე;
- როგორ შეიძლება მოგვარდეს თქვენ მიერ აღნიშნული პრობლემები?